პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 204 (10598) | შაბათი, 1 სექტემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ცეილონის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).
ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო სსრ კავშირში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საქართველოდან წარგზავნილები კუსტანაის მინდვრებში. — შ. გველესიანი. — მშენებლები ყამირზე. ვ. ტოკარევი. — ღირსეულად შევასრულებთ პარტიის დავალებას. ა. კუსრაშვილი. — ახალგაზრდობის შრომითი საქმეები (1-ლი გვერდი).
საქდესის ცნობა ატომგული იარაღის ახალი გამოცდის შესახებ საბჭოთა კავშირში (მე-2 გვერდი).
შ. კახიძე. — მეტი და მაღალხარისხოვანი ყურძენი სამშობლოს (მე-2 გვერდი).
ზ. ჯამასპიშვილი. — ზემომაჩხაანელთა სიხარული (მე-2 გვერდი).
გიყვარდეთ სწავლა, გიყვარდეთ შრომა, რომ ასახელოთ სამშობლო! — მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური კადრები. ნ. გურეშიძე. — სექტემბრის დილა. [illegible] პირველი ნაბიჯი. ი. [illegible] მტს-ი (მე-3 გვერდი).
გ. ჯიბლაძე. — ბეჯითი სწავლისა და შეგნებული დისციპლინისათვის! (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# ახალი სასწავლო წელი

დამთავრდა საზაფხულო არდადეგები. ჩვენი დიდი ქვეყნის მილიონობით მოსწავლე და სტუდენტი დღეს კვლავ მიაშურებს სხვადასხვა სასწავლებლების კლასებსა და აუდიტორიებს, რათა განახლებული ენერგიით შეუდგეს მეცადინეობას, ბეჯითად დაეუფლოს ცოდნას. ჩვენს რესპუბლიკაში წელს პირველად დაიწყებს მუშაობას ახალი ტიპის 5 სკოლა-ინტერნატი, აგრეთვე საშუალო სკოლები საწარმოო სწავლებით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა პირობას ქმნიან ბავშვებისა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისათვის. სახალხო განათლების საჭიროებისათვის ყოველწლიურად დიდი სახსრები იხარჯება. შენდება ახალი სასკოლო შენობები, მილიონობით ცალი ტირაჟით გამოდის სახელმძღვანელოები, დიდდება სასწავლო ხელსაწყოებისა და სასკოლო ნივთების წარმოება. წლითიწლობით იზრდება უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ახალი სასწავლო კორპუსები, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები. ახალი ტექნიკით ივსება სასწავლო სახელოსნოები და ლაბორატორიები. უმჯობესდება პროფესორთა და მასწავლებელთა კადრების შემადგენლობა.

ახლანდელ სასწავლო წელს ჩვენი ახალგაზრდა თაობის სწავლების, აღზრდისა და განათლების მთელი საქმე უნდა წარიმართოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა — სწრაფად დავძლიოთ სკოლის ძირითადი ნაკლი — სწავლების მოწყვეტა ცხოვრებისაგან, კურსდამთავრებულთა არასაკმაო მომზადება პრაქტიკული საქმიანობისათვის და აღვზარდოთ ახალგაზრდობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

სახალხო განათლების მუშაკების, მასწავლებლების საპატიო მოვალეობაა განუხრელად აამაღლონ სკოლაში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი. გასული სასწავლო წელი მთელმა რიგმა სკოლებმა დაბალი წარმატებით დაამთავრეს. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, კასპის, თერჯოლის, ხობის რაიონებში ბევრი ბავშვი დარჩენილი იყო სკოლის გარეთ; მარნეულის, გორის, ბოლნისის რაიონების სკოლების უმრავლესობას სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი არა აქვს, რაც აფერხებს პოლიტექნიკური სწავლების დანერგვას.

დიდი ამოცანები დგას საბჭოთა სკოლის წინაშე მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში. სკოლების ხელმძღვანელთა, პედაგოგიური კოლექტივების, თვითეული მასწავლებლის ყოველდღიური, სისტემატური აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საწინდარია. მოსწავლეთა აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს. სახალხო განათლების მუშაკთა უმრავლესობას კარგად ესმის და უყვარს თავისი საქმე. მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ დირექტორებსა და მასწავლებლებს, რომლებიც უხეშად ეპყრობიან მოსწავლეებს, ცდილობენ ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობა შეცვალონ ადმინისტრირებით, ყვირილით. ზოგიერთი მასწავლებელი საერთოდ თავს არიდებს მოსწავლეებთან აღმზრდელობით მუშაობას და მიაჩნია, რომ მისი საქმეა საგანი ასწავლოს, ხოლო აღზრდა — ეს კლასის ხელმძღვანელის მოვალეობაა. ასეთ არასწორ შეხედულებებს გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ამასთან უნდა ავამაღლოთ მშობელთა პასუხისმგებლობა თავიანთი ბავშვების აღზრდისათვის, მივაღწიოთ სკოლისა და ოჯახის კავშირის განმტკიცებას.

სახალხო განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს, რომლებშიც ჭაბუკები და ქალიშვილები განათლებას იღებენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. სამწუხაროდ, ამ სკოლების მუშაობას სახალხო განათლების ორგანოები, საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველგან როდი აქცევენ სათანადო ყურადღებას. ისინი ნაკლებად ზრუნავენ ამ სკოლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამის შედეგად არის მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევები. საჭიროა ყოველდღიურად ვიზრუნოთ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის, ავამაღლოთ მათი მუშაობის დონე.

რესპუბლიკის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამ ცოტა ხნის წინათ ჩატარებულ პლენუმზე, თავმინებებულია აღმზრდელობითი მუშაობა. თბილისის ორი ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებმაც 1954-1955 სასწავლო წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა და ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, არ ეწევა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას. შრომისადმი უპატივცემლობის სულისკვეთებით აღზრდილნი, ისინი არ მიდიან სამუშაოდ წარმოებაში. უმაღლეს სასწავლებლებში პარტიულ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის დაბალი დონით აიხსნება ის, რომ ზოგიერთი კურსდამთავრებული თავს არიდებს განაწილების მიხედვით სამუშაოზე წასვლას, ცალკეული სტუდენტები ამორალურ საქციელს სჩადიან, მოისუსტებს სასწავლო დისციპლინა, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები.

მასწავლებელთა აგვისტოს ტრადიციულ თათბირებზე დიდი ყურადღება მიექცა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებიდან — „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ — გამომდინარე ამოცანების განხორციელების საკითხებს. სკოლის თვითეულ მუშაკს გულდასმით უნდა განვუმარტოთ, თუ რა უარყოფითი გავლენა მოახდინა ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტმა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე, რამდენად უცხო და მიუღებელია მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის პიროვნების კულტი და როგორ უნდა აღმოვფხვრათ მისი მავნე ნაშთები. მოსწავლე ახალგაზრდობას ნათლად უნდა ვაჩვენოთ პიროვნების კულტის მთელი ანტიმარქსისტული არსი.

სასწავლებლების მუშაობა, მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლა-აღზრდის საქმე ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა. ისინი მოწოდებული არიან გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების პარტიული ორგანიზაციებისადმი, მიაღწიონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებას. საჭიროა გამოვაცოცხლოთ სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, გადავაქციოთ ისინი მოსწავლეთა კოლექტივების ნამდვილ ორგანიზატორებად.

სწავლის პირველი დღეებიდანვე მუშაობა უნდა წარიმართოს ახლებურად, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ახალი სასწავლო წელი უნდა გახდეს ბავშვთა და ახალგაზრდობის აღზრდაში ახალ წარმატებათა მოპოვების წელი.

სწავლა დაიწყო. ვუსურვოთ საბჭოთა მასწავლებლების მრავალრიცხოვან არმიას — აღზარდოს კომუნიზმის მომავალი მშენებლები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

## კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ცეილონის მთავრობის დელეგაცია

31 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა კრემლში მიიღო ცეილონის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან ცეილონის უმაღლესი კომისარი ინგლისში კლოდ კორეა (დელეგაციის მეთაური), ცეილონის საგარეო საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი ტ. ბ. სუბასინგხე, ცეილონის ფინანსთა მინისტრის თანაშემწე რ. კუმარასვამი და დელეგაციის მდივანი აბეიასინგხე და საუბარი ჰქონდა მათთან.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი. (საქდესი).

## ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო სსრ კავშირში

30 აგვისტოს პრეზიდენტი სუკარნო იყო სადილზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართეს სსრ კავშირში აკრედიტებულმა ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა. საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, შ. რ. რაშიდოვი, დ. ტ. შეპილოვი და სხვები.

30 აგვისტოს ღამით პრეზიდენტი სუკარნო და მისი თანმხლები პირები მოსკოვიდან ლენინგრადში გაემგზავრნენ. ლენინგრადში ყოფნის შემდეგ პრეზიდენტი სუკარნო გაემგზავრება საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს პრეზიდენტ სუკარნოს ახლავან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, არმიის გენერალი მ. ი. კაზაკოვი, სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში დ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ქ. ა. კოჩეტკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგის მოადგილე მ. ა. ხარლამოვი.

მოსკოვის ლენინგრადის ვაგზალზე ინდონეზიის პრეზიდენტი გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. პ. ტარასოვმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ვ. დ. სოკოლოვსკიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე საბჭოთა პრესის წარმომადგენლებმა. (საქდესი).

## გაიხსნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენა

30 აგვისტოს მოსკოვში, მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიხსნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენა, რომელიც მოაწყეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ, საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის პრეზიდიუმმა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენის მოწყობა მოსკოვში უკავშირდება დემოკრატიული ვიეტნამის შექმნის მე-11 წლისთავს. გამოფენა შედგება ორი დიდი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში დამთვალიერებელნი ინტერესით ნახულობენ ფოტოსურათებს, სურათებსა და პანოებს წარმტაცი პეიზაჟებით, შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებით და სხვა ექსპონატებს, რომლებიც ვიეტნამის სახეს ქმნიან. სტენდებზეა ეროვნული ტანსაცმლის ნიმუშები, ძველებური მუსიკალური ინსტრუმენტები, ლამაზი კერამიკა, სანდალოზის მხატვრული ნამუშევრები. ერთ-ერთ დარბაზში, რომელიც მიძღვნილია ვიეტნამის ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი, თავმოყრილია ძვირფასი ჯიშის ხეები.

მნახველები დიდი ინტერესით ათვალიერებენ დარბაზებს, მიძღვნილს ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლისადმი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ბევრი დარბაზი ასახავს ვიეტნამის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, მშვიდობის დამყარებას ვიეტნამში.

მეორე განყოფილების დარბაზებში წარმოდგენილია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობისა და შინამრეწველობის სხვადასხვა პროდუქცია.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენა მოსკოვში გახსნილი იქნება სექტემბრის დამლევამდე. (საქდესი).

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ა. ე. მელაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე ერასტის-ძე მელაძე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**
ქ. თბილისი. 1956 წ. 31 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. მ. ფ. ჩხეიძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**
ქ. თბილისი. 1956 წ. 31 აგვისტო.

### მოწინავე მწველავები

## სოფიო ჯანაშვილი



მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობას წველადობის ზრდის საქმეში სახახელო მაჩვენებლები აქვს. მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდან 25 აგვისტოსათვის აქ თვითეულ საფურაჯე ძროხაზე მიიღეს 2.530 კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.150 კილოგრამისა.

წილკნელი კოლმეურნეები მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდაში წარმატებას იმით აღწევენ, რომ ხანიმუშოდ უვლიან და კვებავენ პირუტყვს. კარგად იყენებენ მწვანე კონვეიერს. თვითეულ საფურაჯე ძროხას დღეში სამ კილოგრამამდე კონცენტრირებულ საკვებს აძლევენ.

კოლმეურნეობის მეცხოველეთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგი მაჩვენებლები მოიპოვა სოფიო ჯანაშვილმა. იგი მეხამე წელია მწველავად მუშაობს. ამჟამად უვლის ათ ძროხას. თავის მუშაობაში ფართოდ იყენებს მოწინავეთა გამოცდილებას. ს. ჯანაშვილმა 1 აგვისტოსათვის თვითეულ საფურაჯე ძროხაზე მიიღო 2.600 კილოგრამი რძე. მოწინავე მწველავი ამ მაჩვენებლებით არ კმაყოფილდება. იგი იბრძვის იმისათვის, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს თვითეულ საფურაჯე ძროხაზე მიიღოს 3.300 კილოგრამი რძე.

ს. ჯანაშვილი თავის გამოცდილებას ფართოდ უზიარებს ფერმის სხვა მუშაკებს. წელს ფერმაში მწველავებად მუშაობა დაიწყეს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ვ. ელოშვილმა და ა. ქიტუაშვილმა. წარმატებათა მოპოვებაში მათ დიდად ეხმარება ამ მოწინავე მწველავის მუშაობის ხერხების შესწავლა.

წილკნელი კოლმეურნეები თავგამოდებით იბრძვიან მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. დაბინავეს ნამჯა, წესრიგში მოიყვანეს სასილოსე ორმოები და ტრანშეები. წელს შარშანდელთან შედარებით მეტ სიმინდის ტაროს დააკონსერვებენ და ჩადებენ სილოსს. მიღებულია ზომები მეძროხეობის ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელებისათვის. ამ მიზნით კოლმეურნეობის გამგეობა უკვე შეუდგა საჭირო მასალებისა და მოწყობილობების შეძენას. ადგილზე მიტანილია ავტომატური სარწყულებლები, მილები და სხვ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას წილკნელმა კოლმეურნეებმა იკისრეს წელს თვითეულ საფურაჯე ძროხაზე მიიღონ 2.800 კილოგრამი რძე.

## მეტალურგთა შეჯიბრება გრძელდება

რუსთავი. (საკ. კორ.). 28 აგვისტოს მოეწყო რუსთავისა და სტუმრად ჩამოსული სტალინოელი მეტალურგების შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს.

სოციალისტურ შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ნ. გომელაური და სტალინოს მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი მ. კამენსკი. მათ აღნიშნეს, რომ ორივე ქარხნის კოლექტივებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდეს თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის გამოშვება, დანერგეს მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი, აითვისეს ახალი მარკის პროფილების ნაგლინისა და ფოლადის წარმოება. მიუხედავად ამისა, ორივე ქარხანამ საწარმოო გეგმა სრული მეტალურგიული ციკლის მიხედვით ვერ შეასრულა, განსაკუთრებით ჩამორჩნენ ნაგლინისა და მილების წარმოებაში, ვერ გაანაღდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმები. ამასთან რუსთავის მეტალურგებმა ვერ შეასრულეს რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის, მოწინავეთა გამოცდილების სკოლებში მუშათა მომზადებისა და სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრი მთელი რიგი სხვა ვალდებულებანი.

სტალინოს მეტალურგიული ქარხნის დელეგაციის წევრებმა — უფროსმა მექურემ ვ. ბორისოვმა, მვალცავმა ლ. ბაუტინმა, რუსთავის მეტალურგებმა — სააირო საამქროს უფროსმა ა. ყაზარაშვილმა, მგლინავმა ე. ბაბაკმა, მარტენის საამქროს უფროსმა გ. კრავჩენკომ და სხვებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. სტალინოელმა სტუმრებმა რუსთავის მეტალურგებს ურჩიეს გააუმჯობესონ კოქსის ხარისხი, პრაქტიკაში დანერგონ მარტენის ღუმელების ორთქლით გაციების პროგრესული მეთოდი, აამაღლონ დამხმარე მოწყობილობათა რემონტის ხარისხი, მეტი ყურადღება მიაქციონ ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ განზოგადებას და სხვ. ამასთან სტალინოელებმა აღნიშნეს, რომ თავიანთი ყოფილი მოწაფეების — რუსთავის მეტალურგების მთელ რიგ ტექნიკურ სიახლეებსა და ნოვატორულ ხერხებს წარმატებით დანერგავენ თავიანთ მუშაობაში.

— განვაგრძოთ სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის — ასეთია უკრაინელ და ქართველ მეტალურგთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

# საქართველოდან წარგზავნილები კუსტანაის მინდვრებში

### მშენებლები ყამირზე

ზატობოლსკი. (ტელეგრაფით). მოსავლის აღების პერიოდში კუსტანაის ოლქის მშენებლები ასრულებენ დიდ პასუხსაგებ სამუშაოებს, როგორიც არის მარცვლეულის ახალი საწყობების, მარცვალსაცავების და სხვა ნაგებობათა მშენებლობა.

ოლქის სამშენებლო ტრესტებს შორის გეგმის შესრულებით წინ არის ტრესტი „ბოროვსტროი“, რომლის მომსახურების ზონაშია 7 საბჭოთა მეურნეობა.

ტრესტის განკარგულებაშია რკინაბეტონის ნაკეთობათა ბაზა, 500 მანქანა, რომელთაგან 405 ხორბლის გადაზიდვაზე მუშაობს, ბულდოზერები, ექსკავატორები, ავტომწეები, ავტოდამტვირთავები. გვყავს მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში „ბოროვსტროის“ მუშაკებმა სტალინის, ლომონოსოვის სახელობის, კამენსკო-ურალის, ჯანგელდინის და სხვა საბჭოთა მეურნეობებში ააშენეს ათობით საცხოვრებელი სახლი, მაღაზიები, პურის საცხობები, სკოლები, საავადმყოფოები, საწყობები.

ერთი კვირის წინათ სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში დამთავრდა მარცვლეულის ორი საწყობის მშენებლობა, რომელთაგან თვითეული 7 ათას ტონას იტევს. მალე დამთავრდება ნაგებობათა მშენებლობა პირუტყვისათვის და მანქანების სარემონტო სახელოსნოსათვის. მარცვლეულის საწყობები 400-400 ტონის ტევადობისა აგებულია აგრეთვე ჯანგელდინის და ტენიზის საბჭოთა მეურნეობებში. მალე დამთავრდება 200-ტონიანი დამატებითი საწყობების მშენებლობა. ტრესტის მშენებელთა შორის გამოირჩევიან ხუროების რომან გავრილოვის და გრიგოლ გეჯაძის ბრიგადები. ხუროები ნიკოლოზ ხარატაშვილი, ივანე და ვალერი სარკისოვები დღიურ ნორმას 200-250 პროცენტით ასრულებენ.

**შ. გველესიანი,**
კუსტანაის ოლქის ტრესტ „ბოროვსტროის“ მმართველი.

### ღირსეულად შევასრულებთ პარტიის დავალებას

კუსტანაი, 30 აგვისტო. (ტელეგრაფით). მინდა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ვუამბო იმის შესახებ, თუ როგორ ვიღებთ პურის მოსავალს მე და ჩემი ამხანაგი ალექსი როდიონის-ძე კაკაურიძე, პეშკოვსკოეს მტს-ის ტრაქტორისტები.

ჩვენ ვმუშაობთ ლაფეტიან სამკალ მანქანაზე პეშკოვსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „სოვეტსკი ზემლეროპში“ მოსავლის ცალცალკე აღების წესით. ლაფეტიანი მანქანით მოსავალი ავიღეთ 400 ჰექტარზე და ვფიქრობთ ამ მანქანაზე ვიმუშაოთ მკის დამთავრებამდე. ზოგიერთი მექანიზატორი უხალისოდ ეკიდებოდა მოსავლის ცალცალკე აღებას. მაგრამ მე და კაკაურიძემ თვითონვე განვაცხადეთ სურვილი და აი კიდევაც დავინახეთ, რომ სწორად მოჭიქეცით. ყოველდღე მოსავალს ვიღებთ 35 ჰექტარზე. ჩვენი აგრეგატი მინდორზე ჩვეულებრივ მოძრაობს მეოთხე სისწრაფით, ხოლო იქ, სადაც უფრო ხშირი პურია — მესამე სისწრაფით. გადაჭრის სიმაღლეა 20-25 სანტიმეტრი. ვცდილობთ დავზოგოთ დრო ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას, არ დავუშვათ მკვეთრი შემობრუნება. ერთ საათში ჩვეულებრივ ვმკით სამ ჰექტარს. დარწმუნებული ვართ, რომ ღირსეულად შევასრულებთ ჩვენი პარტიის დავალებას — მოსავალს ავიღებთ უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში.

**ვასილ ტოკარევი,**
კუსტანაის ოლქის პეშკოვსკოეს მტს-ის ტრაქტორისტი.

### ახალგაზრდობის შრომითი საქმეები

კუსტანაი, 30 აგვისტო. (ტელეგრაფით). კუსტანაის ოლქის მშრომელებმა დაამთავრეს ჭვავის, ქერისა და შვრიის მკა. ყველგან მიმდინარეობს საგაზაფხულო ხორბლის აღება. ეს ხუთდღიური გადამწყვეტია. ოლქის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები დაუღალავად შრომობენ. მათ ეხმარება ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდობა. გულს ახარებს ქართველ კომკავშირელთა შეწყობილი, გმირული შრომა.

გაგრის რაიონის ახალგაზრდობის ჯგუფი კომკავშირის რაიკომის მდივნის ამხ. ბეჟვაიას ხელმძღვანელობით, რომელიც წარმოგზავნილია ზატობოლსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის დასახმარებლად, მოსავლის აღებაში მონაწილეობას იღებს უკრაინიდან წარმოგზავნილთა ბრიგადასთან ერთად, რომელსაც მ. ზახარჩენკო ხელმძღვანელობს. მარცვლეულის გადაზიდვაზე დაძაბულად შრომობენ კომკავშირელები ე. გუგეშაშვილი, ე. ბაბუშკინა, ხ. რუსია, ა. მინასიანი. ისინი დღეში 700-800 ცენტნერ მარცვლეულს ტვირთავენ, თითქმის სამჯერ აჭარბებენ დავალებას. მანქანებიდან რამდენიმე საათობით არ ჩამოდიან ნამჯის დამბულულებლებში ვ. ნანბა და ვ. თოფურიძე. მათი გამომუშავება დღეში 6-7 შრომადღეს აღწევს.

საგარეჯოს რაიონის ახალგაზრდობის ბრიგადა, რომელიც გიორგი არაბულის ხელმძღვანელობით მუშაობს, სოკოლოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „სვეტ პახარიაში“, დღეღამეში 2 ათას ცენტნერ მარცვლეულს ამუშავებს.

ამ ბრიგადის წევრებმა იოსებ მესტვირიშვილმა, ანზორ ნიკოლაიშვილმა, თენგიზ ივანელაშვილმა, უშანგი დოჩიძემ უკვე გამოიმუშავეს 170 შრომადღე თვითეულმა.

ყველანი, როგორც ამ კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეები, ისე რაიონული და საოლქო გაზეთები კარგ შეფასებას აძლევენ საქართველოდან წარმოგზავნილთა მუშაობას.

**ა. კუსრაშვილი,**
(სპეც. კორ.).

## წლიური გეგმის გადამეტებით

ბათუმი. (საკ. კორ.). სოფელ მახინჯაურის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო არტელია ბათუმის რაიონში. ციტრუსების და ტექნიკური კულტურების ერთად კოლმეურნეობის სიმდიდრის წყაროს ჩაის კულტურა წარმოადგენს.

[illegible] კოლმეურნეობა ჩაის ფოთლის [illegible] აგვისტოსათვის [illegible] 16 [illegible] წლიური გეგმა — მოკრიფეს და [illegible] ჩააბარეს 80.185 კილოგრამი ფოთოლი.

დაწინაურებულნი ღ. ბერიძისა და ო. ჩხაიძის რგოლები. წლიური დავალება მათ 150 და მეტი პროცენტით შეასრულეს. წარმატებით მუშაობენ შ. ჩაგლიაშვილის და ზ. მალაყმაძის [illegible] რგოლებიც.

მეჩაიეებმა აიღეს ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით [illegible] 20 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული.

## ცაიშელ კოლმეურნეთა წარმატება

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სოფელ ცაიშის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა [illegible] წლიური გეგმა [illegible] 245 ტონა [illegible].

ცაიშელების მიერ მოკრეფილი ჩაის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულია მეთორმეტე ბრიგადა, [illegible] მოკრიფა 22 ტონა ჩაი, მოკრიფა 23 ტონა, რაც მთლიანად პირველი ხარისხისაა. კარგად იმუშავეს მეორე, მეცხრე და მეთერთმეტე ბრიგადებმა.

ცაიშელ მეჩაიეთა ახალი ვალდებულებაა წელს სეზონში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 60 ტონა ჩაის ნედლეული.

## ზემომაჩხაანელთა სიხარული



სოფელი ზემო მაჩხაანი! ოცდაათი წლის წინათ დაარსდა აქ პირველი კოლმეურნეობა.

ოცდაათი წელი! — რა მცირე დროა იგი იმ დიდ ცვლილებებთან შედარებით, რაც ზემო მაჩხაანში მოხდა. მოხუცებს თუ ახსოვთ ის სურათი, რაც ადამიანებს ზემო მაჩხაანის ნახვისას გადაეშლებოდათ ხოლმე. აღარ არის სოფელში ქოხმახები, სიდუხჭირე, სიბნელე და გაუნათლებლობა. აქ ძველი დარჩა მხოლოდ ერთი რამ — მიწა, მაგრამ ამ მიწამაც სახე იცვალა, სხვა სამოსელში გაეხვია, მშრომელთა მადლიანი ხელით უფრო ნაყოფიერი გახდა. აქ მტკაველ მიწასაც ვერ ნახავთ გამოუყენებელს. მოჰყავთ ხორბალი და სიმინდი, მზესუმზირა და ბოსტნეული, კარტოფილი და ხილი... მევენახეობაც ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, საკოლმეურნეო წყობილებამ წინათ ღატაკი მშრომელი გლეხობა შეძლებული, ხაამური ცხოვრების გზაზე დააყენა. ციფრები, რომლებსაც ქვემოთ მოვიყვანთ, კოლმეურნეთა თავდადებულ შრომაზე, ადამიანის კეთილდღეობაზე, მის სიმდიდრეზე, კულტურასა და განათლებაზე მეტყველებენ.

6.157 ჰექტარი მიწა სახნავ-სათესია და დოვლათს იძლევა. ასამდე ჰექტარზე შრიალებენ ბაღები და ვენახები, გულს ახარებენ უხვი მოსავლით.

მეცხოველეობის ფერმებში რაც ახლა პირუტყვია, არასოდეს ამდენი არ ხსომებია სოფელს. აბა წარმოიდგინეთ 2.634 სული მარტო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი! მათ შორის მარტო მეწველი ძროხა და ფურკამეჩი ექვსასსამოცია. 31.630 სული ცხვარია ზემომაჩხაანელთა ფარაში. ამას ემატება ათასამდე სული ღორი, შვიდი ათასამდე ფრთა ფრინველი.

აი კოლმეურნეთა გამრჯე ხელით შექმნილი სიმდიდრე, გულის გამხარებელი დოვლათი! მაგრამ განა მარტო ეს არის!

მაღალი აგროტექნიკის განხორციელების, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად ყოველწლიურად იზრდება მარცვლეული კულტურების მოსავალი და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

1955 წელს ყველა მარცვლეული კულტურის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო 16,4 ცენტნერი, ხოლო 1956 წელს მოსავალმა 18 ცენტნერს მიაღწია; 1955 წელს საშუალოდ ჰექტარზე 54 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს, წელს კი 85 ცენტნერს მოელიან. თუ შარშან საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე და ფურკამეჩზე მიღებულ იყო საშუალოდ 1.123 ლიტრი რძე, წელს 1 სექტემბრისათვის მიღებულია საშუალოდ 1.493 ლიტრი.

შარშან სახელმწიფოს ჩაბარდა 2.045 ცენტნერი რძე, 7.300 ცენტნერი ხორცი, 640 ცენტნერი მატყლი, 3.615 ცენტნერი ყურძენი, 90 ათასი ცალი კვერცხი.

განუხრელად უმჯობესდება კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა. თუ 1950 წელს შრომადღის ღირებულება 11 მანეთს უდრიდა, შარშან მან 29 მანეთსა და 50 კაპიკს მიაღწია, წელს კი ნავარაუდევია შრომადღეზე გაიცეს 37 მანეთი.

სწორედ ამ აღმავლობით დაინტერესებული კოლმეურნეები შრომითი მამაცობის ნიმუშებს იძლევიან და ყოველწლიურად ზრდიან გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობას. ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე შარშან მიიღეს 2.910 ლიტრი რძე, 13,9 ცენტნერი ხორცი (დაკლული წონით), 280 კილოგრამი მატყლი, 29.781 მანეთი ფულადი შემოსავალი.

წელს, წინასწარი მონაცემების მიხედვით, ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე მიიღებენ 3.210 ლიტრ რძეს, 16,5 ცენტნერ ხორცს, 315 კილოგრამ მატყლს, 31.715 მანეთ ფულადს შემოსავალს.

ივრიდან გამოიყვანეს არხი, რომელიც წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ. არხი მორწყავს ოთხას ჰექტარ ფერმისპირა ფართობს. აქ მოყვანილი პირუტყვის საკვები, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს წველადობის გადიდებას.

ძნელი საცნობია დღეს წინანდელი ღარიბი გლეხების ოჯახები. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში ოთხასათმა კოლმეურნემ ოთხ-ოთხოთახიანი საცხოვრებელი სახლები აიშენა. კოლმეურნეთა სახლები ილიჩის ნათურებით არის განათებული, რადიო ხომ დიდი ხანია დამკვიდრდა. საშუალო სკოლა, საექიმო უბანი, აფთიაქი და კულტურისა და ჯანმრთელობის სხვა დაწესებულებანი კოლმეურნეთა სამსახურში დგანან. უწყლობა საუკუნეობით სტანჯავდა ზემომაჩხაანელებს. ასრულდა მათი დიდი ხნის ოცნება—ახლა თავწყაროდან გამოყვანილია ანკარა წყაროს წყალი. წყალსადენის მშენებლობაზე 1.300 ათასი მანეთი დაიხარჯა. ზემომაჩხაანელები ოთხი კილომეტრით დაშორებული სოფლებიდან — არბოშიკიდან და ფანიაანიდან ეზიდებოდნენ სასმელ წყალს, ახლა კი სასმელი წყალი უხვად აქვთ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე შექმნილმა საკოლმეურნეო წყობილებამ საშუალება მისცა კოლმეურნეებს დაამზადონ მეტი სასაქონლო პროდუქცია, აამაღლონ კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა და მათი კულტურული დონე.

მარტო ის ფაქტი რამდენს მეტყველებს, რომ კოლმეურნეობის განუყოფელმა ფონდმა თითქმის თოთხმეტ მილიონ მანეთს მიაღწია. მაგრამ ეს როდია კოლმეურნეობის მატერიალური ძლიერების ზღვარი. წინ კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალია!

ყოველივე ამან შეაძლებინა კოლმეურნეობის გამგეობას ხელი მოეკიდნა საკოლმეურნეო კულტურის სახლის მშენებლობისათვის. დაიწყო ეს საქმე და დაგვირგვინდა კიდეც მთელი სოფლის გულის გასახარად.

დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება საკოლმეურნეო მშენებლობის ეს შესანიშნავი პირმშო, რომელიც 2 მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა.

მთელი სოფელი მოიყრის აქ თავს, ზეიმით ჩაიბარებს თავისი პატიოსანი, თავდადებული შრომის ნაყოფს — საკოლმეურნეო კულტურის სახლს. ამ სახლში შემოქმედებითი მუშაობის ფართოდ გაჩაღებით კოლმეურნენი გაიმდიდრებენ ცოდნას, რომ კვლავ გაამრავლონ საკოლმეურნეო დოვლათი.

ზ. ჯამასპიშვილი.

* * *

სურათზე: საკოლმეურნეო კულტურის სახლის საერთო ხედი.

## 8 თვის გეგმა—10 დღით ადრე

მახარაძე. (საკ. კორ.). ფაიფურის ქარხნის კოლექტივი, რომელიც თავდადებით იბრძვის მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დამთავრებისათვის, კარგ შედეგს აღწევს. ქარხანამ რვა თვის საწარმოო დავალება 10 დღით ადრე 102,2 პროცენტით გაანაღდა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 980.000 მანეთისა გამოუშვა 1.100.400 მანეთის პროდუქცია, 7 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო 8,7 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, საგრძნობი რაოდენობით დაზოგა აგრეთვე საწვავი მასალა და ელექტროენერგია.

მოწინავე ადამიანებმა ნ. მქავიამ, მ. ვასაძემ, ზ. ბარანოვამ, ნ. შტეპოვამ, მ. ევგენიძემ და სხვებმა სასახელოდ გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო მიმდინარე წლის საწარმოო დავალება 5 დეკემბრისათვის შეასრულოს.

## ჩაის კრეფაში დაწინაურებულნი

30 აგვისტო

### ლანჩხუთის რაიონი

ანა მორჩილაძემ ქვემო აკეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში 45 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. სულ მოკრეფილი აქვს 3.045 კილოგრამი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000 კილოგრამისა. მისი ვალდებულებაა კიდევ მოკრიფოს 500 კილოგრამი ჩაი.

ქეთო მორჩილაძე ამავე კოლმეურნეობაში მუშაობს. მან მოკრიფა 55 კილოგრამი ჩაი, სულ კი 2.800 კილოგრამი, ხოლო გეგმა 2.200 კილოგრამის მოკრეფას ითვალისწინებდა. იგი ახლაც წარმატებით განაგრძობს ჩაის კრეფას.

ნაზი გოგელიამ ღრმაღელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 35 კილოგრამი ჩაი. დღემდე მოკრეფილი აქვს 1.900 კილოგრამი და იბრძვის იმისათვის, რომ სეზონში მოკრიფოს 2.600 კილოგრამი.

## სსრ კავშირის საინფორმაციო სააგენტოს (საკდეს) ცნობა

# საკდესის ცნობა

## ატომგულის იარაღის ახალი გამოცდის შესახებ საბჭოთა კავშირში

24 და 30 აგვისტოს საბჭოთა კავშირში მოხდა ატომგულის იარაღის გამოცდა. ამ გამოცდის, ისევე როგორც მომავალი სხვა გამოცდის, მიზანია ატომგულის იარაღის გაუმჯობესება და ამ იარაღის ახალი ტიპების შემუშავება სხვადასხვა გვარეობის ჯარების შეიარაღების შესაბამისად.

საბჭოთა კავშირში ატომგულის იარაღის გამოცდა, როგორც წესი, დიდ სიმაღლეზე ხდება, რაც საშუალებას იძლევა მკვეთრად შევამციროთ რადიოაქტიური ნალექი. ამავე მიზნით გამოსაცდელ მუხტში გამოყენებულია აქტიურ ნივთიერებათა მინიმალურად დასაშვები რაოდენობა.

საბჭოთა კავშირში ატომგულის იარაღის აღნიშნულ გამოცდასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს:

საბჭოთა მთავრობას, რომელიც ხელმძღვანელობს თავისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით, არა ერთხელ შეუტანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინადადება ატომური და წყალბადის იარაღის უთუო აკრძალვის შესახებ. 1956 წლის გაზაფხულზე სსრ კავშირის მთავრობამ შეიტანა წინადადება, რომ სახელმწიფოებს, რომელთაც აქვთ ატომური და წყალბადის იარაღი, ეკისრნათ ვალდებულება — შეეწყვიტათ ამ სახეობათა იარაღის გამოცდა, მიუხედავად იმისა, მიღწეული იქნება თუ არა შეთანხმებანი განიარაღების სხვა საკითხებზე. ასეთი შეთანხმება პირველი ნაბიჯი შეიძლებოდა ყოფილიყო ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის გზაზე და ხელს შეუწყობდა სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეები საბჭოთა ატომის გამოცდის გამო ამბობენ, რომ საჭიროა საერთაშორისო კონტროლი დაწესდეს ატომის ენერგიისადმი. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საჭირო არ არის ატომგულის გამოცდისადმი სპეციალური კონტროლის რაიმე სისტემა, რადგან თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი შესაძლებლობას გვაძლევენ ადვილად აღმოვაჩინოთ ატომგულის იარაღის გამოცდა დედამიწის ყოველ პუნქტში.

მაგრამ ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობის ამ წინადადებას, ისევე როგორც წინადადებას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ, მხარს არ უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის ზოგიერთი სხვა სახელმწიფო. ცნობილია აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში მიმდინარე წელს მოეწყო ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის გამოცდა. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ამ გარემოებას და ითვალისწინებს რა თავისი უშიშროების ინტერესებს, იძულებულია სათანადო ყურადღება მიაქციოს ატომგულის იარაღის გამოცდას.

მიუხედავად ამისა საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს კვლავაც არ შეანელოს ღონისძიებანი, რათა მიაღწიოს საერთაშორისო შეთანხმებას ატომგულის იარაღის წარმოების, შენახვისა და გამოყენების სრული აკრძალვის შესახებ, აგრეთვე ამ იარაღის გამოსაცდელ აფეთქებათა აკრძალვას.

ამასთანავე საბჭოთა მთავრობა ყოველი ღონისძიებით აფართოებს წარმოებულ მუშაობას ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის.

## მოსკოვი ელაპარაკება პარიზს...

ტელეფონის კომუტატორებზე წარწერებია: შანხაი, ბომბეი, ლონდონი, ბუქარესტი, ნიუ-იორკი, პარიზი, პრაღა, ბერლინი, სტოკჰოლმი —მსოფლიოს თითქმის ყველა დედაქალაქისა და დიდი ქალაქების სახელწოდებანი. მოსკოვის ცენტრალური საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ერთ-ერთ დარბაზში შეგვიძლია დავუკავშირდეთ ამ ქალაქებს.

...მოსკოვი გამოიძახა საფრანგეთმა — კომუტატორზე, რომელსაც „პარიზი“ აწერია, აენთო სასიგნალო ნათურა. ტელეფონისტმა ფრანგულად გასცა პასუხი პარიზს. მან ჩაიწერა ტელეფონის ნომერი და ეძახის საჭირო აბონენტს. სტოკჰოლმიდან ეძახიან მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციას — დანიშნულ დროს ეს საუბარი გაიმართება. გვერდით კი ილებენ დაკვეთას მოსკოვიდან, სთხოვენ შეაერთონ ტელეფონი უნგრეთის ერთ-ერთ ქარხანასთან.

საქალაქთაშორისო სადგურის სამსახურით ფართოდ სარგებლობენ საბჭოთა და უცხოეთის სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კორესპონდენტები, ტურისტები, ცალკეული მოქალაქენი. ახლა სადგური ყოველ დღეღამეში უზრუნველყოფს ერთიორად და კიდევ მეტ საუბარს, ვიდრე 1940 წელს. დიდდება ამ ქვეყნების რიცხვი, რომლებთანაც შეიძლება დალაპარაკება მოსკოვიდან. ამას წინათ სატელეფონო კავშირი დამყარდა ეგვიპტის დედაქალაქ კაიროსთან.

მოსკოვის მცხოვრებლებს საქალაქთაშორისო სადგურის საშუალებით შეუძლიათ დაუკავშირდნენ ჩვენი ქვეყნის ყოველ დასახლებულ პუნქტს, სადაც კი ტელეფონია. 1940 წელთან შედარებით საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის რაოდენობა შვიდჯერ და მეტად გადიდდა. დედაქალაქიდან ურეკავენ ყირიმის სანატორიუმებს და შუა აზიის ყიშლაღებს, ვლადივოსტოკსა და მაგადანს. სწრაფად ვითარდება კავშირი ყამირი მიწების ათვისების რაიონებთან.

ლენინგრადთან, გორკისთან და სხვა დიდ ქალაქებთან უზრუნველყოფილია დაუყოვნებელი კავშირი — აბონენტი დაკვეთისთანავე უერთდება ამ ქალაქებს მისის ჩამოუკიდებლად. ლენინგრადელი აბონენტი რომ გამოიწვიოს, დაუკავშირდეს ლენინგრადის ორგანიზაციას ან საწარმოს, მოსკოველი ტელეფონისტი მათს ნომერს კრეფს თავისი კომუტატორის დისკოს საშუალებით. (საკდესი).

# მეტი და მაღალხარისხოვანი ყურძენი სამშობლოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა დასახა. ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ამბროლაურის რაიონშიც დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული.

რაიონში სოფლის მეურნეობის წამყვანი და ყველაზე რენტაბელური დარგია მევენახეობა. კოლმეურნე გლეხობამ მრავალი წლის გამოცდილებით კარგად იცის, რომ ვაზი დიდი სამეურნეო ღირსების მქონე კულტურაა და ამიტომ ყოველწლიურად ახალ-ახალ ფართობებზე აშენებს მას. ამჟამად რაიონში ვენახებს 2.000 ჰექტარი უჭირავს. წელს გაზაფხულზე 20 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა.

ვენახის ფართობის ზრდასთან ერთად სერიოზული ყურადღება ექცევა ყურძნის მოსავლიანობის გადიდებას. მოწინავე მევენახე კოლმეურნეები შემოქმედებითს შრომაში ახალ წარმატებებს აღწევენ და მოსავლიანობის განუწყვეტელი ზრდის რეალურ შესაძლებლობებს გვიჩვენებენ.

სოფელ წესის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე რ. ნატმელაძე) რაიონში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობა იყო. იგი მხოლოდ მას შემდეგ დაწინაურდა, რაც აქ საქმიანად მოჰკიდეს ხელი მევენახეობის განვითარებას. 1953 წელს კოლმეურნეობამ 37 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო შარშან 65 ცენტნერი. ზევრმა ბრიგადამ და რგოლმა ყურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე 75-80 ცენტნერამდე გაზარდა. შარშან კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა, ნაცვლად 900 ცენტნერისა ჩააბარა 1.400 ცენტნერი. თუ 1953 წელს მევენახეობამ კოლმეურნეობას 400 ათასი მანეთი შემოსავალი მისცა, 1955 წელს ამ თანხამ მილიონს გადააჭარბა.

მევენახეობაში კარგი მაჩვენებლები აქვს აგრეთვე ხვანჭკარის ლენინის სახელობის, სადმელის სტალინის სახელობის, მუხლის მალენკოვის სახელობის, ბოსტანის ენგელსის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებს.

რაიონის კოლმეურნეობებმა, ისევე როგორც ყოველთვის, შარშანაც ღირსეულად მოიხადეს ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე. 1955 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 24.090 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 24 ათასი ცენტნერისა. ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის რაიონში შექმნილია მტკიცე ბაზა. ხვანჭკარაში, ჭრებალოსა და ამბროლაურში ყურძნის მიმღები პუნქტები და ღვინის ქარხნებია. ისინი გადაცემული აქვს სამტრესტის ამბროლაურის ქარხანათსამმართველოს (დირექტორი ვ. ბენდიაშვილი). მას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს და გადაამუშაოს 30-40 ათასი ცენტნერი ყურძენი. ყურძნის მიღება-გადამუშავების ყველა პროცესი მექანიზებულია. შარშან ღვინის ქარხნებმა გამოუშვეს 156 ათასი დეკალიტრი მაღალხარისხოვანი ღვინოები, აქედან 35 ათასი დეკალიტრი ნახევრადტკბილი სადესერტო ღვინო „ხვანჭკარა“ და 15 ათასი დეკალიტრი „თეთრა“, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს 1955 წელს მოწყობილ ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე.

წინა წლებთან შედარებით ამბროლაურის რაიონში გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა მევენახეობის განვითარებას. მაგრამ მიუხედავად ამისა ვენახების მოვლა-პატრონობა ყველა კოლმეურნეობაში ჯეროვან სიმაღლეზე როდია დაყენებული. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 31 ცენტნერს არ აღემატებოდა, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობაში კიდევ უფრო დაბალი მოსავალი იქნა მიღებული.

ამბროლაურის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც 40 ჰექტარი ვენახი აქვს, შარშან ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე მხოლოდ 15 ცენტნერი იყო. ასეთივე დაბალი მოსავალი მიიღეს სოფლების ცახის, ბარეულის, ღვარდიის, წკადისის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში. ეს იმის შედეგია, რომ ამ კოლმეურნეობათა გამგეობები, სასოფლო საბჭოები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ვაზის კულტურას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს უდიდესი მნიშვნელობის დადგენილება „ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი დიდად შეუწყობს ხელს მევენახეობის კოლმეურნეობებს ყურძნის მოსავლიანობის ამაღლებაში, ამ ძვირფასი პროდუქტის წარმოების გადიდებაში.

პარტიისა და მთავრობის აღნიშნულ დადგენილებაში ღრმა ანალიზი აქვს გაკეთებული ყურძნის დაბალი მოსავლიანობის მიზეზებს. ეს ნაკლოვანებანი მთლიანად და სავსებით შეეხება ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებსაც. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვენახებს მცირე ნაკვეთებზე აშენებენ, და რასაც აშენებენ, იმასაც ცუდად უვლიან. ბარეულის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას 19 ჰექტარი ვენახი აქვს და ამ მცირე ფართობსაც ვერ უვლის აგროტექნიკის მოთხოვნათა დაცვით. მსგავსი მდგომარეობაა ღადიშის, შრომის, ზნაკვის, კრიხისა და ხოტევის კოლმეურნეობებში.

ამასთან რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ვხვდებით ვაზის მეჩხერიანობას.

სერიოზული ნაკლოვანებებია მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენებაშიც. აგროტექნიკური წესების მიხედვით თვითეულ ჰექტარ ვენახში უნდა შეჰქონდეთ 40-50 ტონა ორგანული სასუქი, ფაქტიურად კი შეაქვთ 20-25 ტონა.

მევენახეობის შემდგომ განვითარებას, ვენახების ფართობის გადიდებას და ყურძნის მოსავლიანობის ამაღლებას ის აფერხებს, რომ მევენახეობაში ნელა ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ამბროლაურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს არა აქვს სპეციალური ტრაქტორები, მანქანები და იარაღები ვენახებში სამუშაოდ, რის გამო ვაზის რიგთა შორის დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის სხვა სამუშაოები ხელით სრულდება.

ვაზის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად გვესაჭიროება შაბიამნის ხსნარით შესაწამლი და გოგირდის შესაფრქვევი აპარატურა. მართალია, სათანადო აპარატები მოგვდის, მაგრამ ისინი გაკეთებულია დაბალხარისხოვნად, ისეთი ლითონებისაგან, რომელსაც შაბიამნის ხსნარი მალე აზიანებს.

რაიონს აქვს 14 ჰექტარი ვაზის სანერგე, სადაც ყოველწლიურად 400-500 ათას ძირ ვაზს ამყნობენ. ეს მთლიანად აკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებას. მაგრამ სამყნობი დანები, რომლებსაც სოფლმომარაგების ტრესტი გვაწვდის, მეტად დაბალი ხარისხისაა და მალე ფუჭდება. უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე მინერალური სასუქებით მევენახეობის რაიონების მომარაგების საქმე.

ბოლოს ერთი მტკივნეული საკითხის შესახებ. ამბროლაური რესპუბლიკაში ერთადერთი რაიონია, რომელიც „ხვანჭკარის“ და „თეთრას“ მარკის სადესერტო ღვინოებს აძლევს ჩვენს ქვეყანას. ამ ღვინოებზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ მას ჯერჯერობით ვერ ვაკმაყოფილებთ. რა გვიშლის ხელს? ის კოლმეურნეობები, რომელთა ფართობებზე „ხვანჭკარა“ და „თეთრა“ მოდის, მეურნეობის სხვადასხვა დარგს მისდევენ, მაგალითად, მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, მისდევენ მეცხოველეობას, მეაბრეშუმეობას და სხვ. მათ საშუალება არა აქვთ გაზარდონ ვენახების ფართობი, რადგან სავენახედ ვარგისი ადგილები უკავია მარცვლეულ კულტურებს, თუმცა ყურძენი რომ მეტ შემოსავალს იძლევა, ამაში ეჭვი არავის ეპარება. თუ საქმე ისე მოეწყობა, რომ კოლმეურნეობებმა ჩაბარებულ ყურძენში ნაწილობრივ მაინც მიიღონ მარცვლეული, მაშინ მათ შეეძლებათ სამშობლოს მისცენ რამდენჯერმე მეტი „ხვანჭკარა“ და „თეთრა“, ვიდრე დღემდე აძლევენ. ეს უფრო ხელსაყრელი იქნება როგორც სახელმწიფოსათვის, ისე კოლმეურნეებისთვისაც.

ყურადღების ღირსია ჩაბარებული ყურძნის ანაზღაურების საკითხი. ცნობილია, რომ ვაზის ყველა ჯიში ერთნაირ მოსავალს არ იძლევა. არის ისეთი ჯიშები, რომლებიც თვითეულ ჰექტარზე 80-100 და მეტ ცენტნერ ყურძენს იძლევიან. ჩვენს რაიონში გავრცელებული „ალექსანდრეული“ და „თეთრა“ კი ჰექტარზე მხოლოდ 35-40 ცენტნერ ყურძენს გვაძლევს, ამასთან მიღებული ღვინო გაცილებით მაღალი ხარისხისაა. ამიტომ სწორი არ იქნება „ალექსანდრეულისა“ და „თეთრას“ ჯიშის ყურძენზე ისეთივე ფასი დავაწესოთ, როგორიც მაღალმოსავლიანი ჯიშის დაბალი ხარისხის ყურძენზე. ამის გაუთვალისწინებლობა უთუოდ შეანელებს კოლმეურნეთა დაინტერესებას მაღალხარისხოვანი ღვინის მომცემი ვაზის გაშენებისადმი.

მევენახეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს რაიონის კოლმეურნეობებს. პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია 1960 წლამდე რაიონში საგრძნობლად გავადიდოთ ვენახების ფართობი, ვაზი გადავიყვანოთ შპალერზე, რაც კოლმეურნეობებს მისცემს ჭიგოს ხარჯვის დიდ ეკონომიას, შეამცირებს შრომატევად სამუშაოთა მოცულობას და ამავე დროს მნიშვნელოვნად გაზრდის მოსავლიანობას. მეჩხერიანობის ალსაკვეთად გათვალისწინებული გვაქვს ვენახებში გამოვრგათ სტანდარტული ნამყენი ვაზი. ვაზის სანერგეს გავადიდებთ 25 ჰექტარამდე იმ ვარაუდით, რომ ყოველ ჰექტარზე მივიღოთ 110 სანტიმეტრის სიგრძის 25.000 ლერწი. ყოველწლიურად დავამყნობთ ნახევარ მილიონ ცალ ვაზს.

ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით, აგროტექნიკის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით ამბროლაურელი მევენახეები შეძლებენ ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაზარდონ სულ ცოტა 50 ცენტნერამდე.

რაიონის კოლმეურნე გლეხობაში ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“. აგიტატორებმა ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ფართოდ გააცნეს მშრომელებს. დადგენილების გაცნობისას სადმელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს 73 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე ყურძნის მოსავალი შარშანდელთან შედარებით 20 ცენტნერით გაადიდონ, სოფელ წესის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში კი იმისათვის იბრძვიან, რომ წელს 27 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერი ყურძენი მოიყვანონ. ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა კი იკისრეს ჰექტარზე 80-90 ცენტნერი ყურძენი მიიღონ. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის იბრძვიან ხვანჭკარის, ხიდიკრის, ჭყვიშის, ბოსტანას და სხვა კოლმეურნეობათა მევენახეები.

ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თავდადებით იშრომებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანები — მაქსიმალურად გაადიდონ ვენახის ფართობი, მიიღონ ყურძნის მაღალი მოსავალი და მშრომელებს დიდი რაოდენობით მისცენ რაც შეიძლება მაღალი ხარისხის ღვინოები.

შ. კახიძე.

საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის მდივანი.

# გიყვარდეთ სწავლა, გიყვარდეთ შრომა, რომ ასახელოთ სამშობლო!



თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც ამზადებს კადრებს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგისათვის.

სასწავლო პროცესთან ერთად აქ დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. უნივერსიტეტს ბევრი სახელოვანი მეცნიერი ჰყავს, რომელთა შრომები ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში. აქ ყოველწლიურად 400-მდე სამეცნიერო შრომა სრულდება.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად უნივერსიტეტში წლითიწლობით უმჯობესდება სასწავლო-მატერიალური ბაზა. ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება სასწავლო კორპუსების რემონტსა და კაბინეტ-ლაბორატორიების ახალი ხელსაწყო-იარაღებით შევსებაზე.

უნივერსიტეტში 4.500-მდე სტუდენტი სწავლობს. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებთან ერთად აქ მეცნიერებას ეუფლებიან მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსული ჭაბუკები და ქალიშვილები.

წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კარგი შევსება მიიღო. პირველ კურსზე ჩაირიცხა 606 კაცი. უნივერსიტეტი მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს.

**სურათზე:** თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. ჩიჩუა, ლ. ელიავა, ვ. ხახნელიძე, ა. ბაუენკოვა, გ. კიკილაშვილი, ბ. ცურუნოვა და ვ. კოკოევა.

ფოტო ვ. უზნაძისა.

## მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური კადრები

**საუბარი საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორთან რ. დვალთან.**

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ერთ-ერთი დიდი უმაღლესი სასწავლებელია ჩვენს რესპუბლიკაში თავისი კარგად მოწყობილი ლაბორატორიებით, კაბინეტებით, ბიბლიოთეკით. სასწავლო პროცესთან ერთად აქ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოებს. ინსტიტუტის მეცნიერთა შრომები ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში.

თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა 13.600-ზე მეტი სპეციალისტი გამოუშვა. ისინი ახლა ნაყოფიერად მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ამჟამად ინსტიტუტში ხუთი ათასამდე სტუდენტი სწავლობს. აქ არიან ახალგაზრდები ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან.

ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტის რუსულ განყოფილებებზე ქართველ სტუდენტებთან ერთად მეცნიერებას ეუფლება მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული 17 ეროვნების 1.000-მდე ჭაბუკი და ქალიშვილი.

ახალ სასწავლო წელს ინსტიტუტში იმუშავებს ხუთასამდე პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 200 პროფესორი და დოცენტი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღებისა და ყოველდღიური ზრუნვის შედეგად სისტემატურად მიმდინარეობს მუშაობა სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის. წელს ზაფხულის პერიოდში ინსტიტუტის ლაბორატორიები მნიშვნელოვნად შეივსო უახლესი ხელსაწყოებითა და აპარატურით. ჩატარდა ინსტიტუტის შენობისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის რემონტი. წელს ინსტიტუტმა კარგი შევსება მიიღო. მისაღებმა გამოცდებმა უფრო ორგანიზებულად ჩაიარა, ვიდრე გასულ წლებში. უგამოცდოდ სხვადასხვა ფაკულტეტზე ჩაირიცხა 401 მედალოსანი, ხოლო 464 ვაკანტურ ადგილზე გამოცდებს აბარებდა 2.660 კაცი.

საკონკურსო გამოცდებმა გვიჩვენა, რომ წელს შედარებით მომზადებული ახალგაზრდობა მოვიდა და ბევრმა საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო.

ამასთან გამოცდებმა ცხადყო, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადოდ არ არის დაყენებული რუსული ენის სწავლება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებები ახასიათებთ სასოფლო რაიონების სკოლებს.

დღითიდღე მტკიცდება ინსტიტუტის კავშირი ფაბრიკებთან, ქარხნებთან. ის ორმოცზე მეტ საწარმოსთან არის დაკავშირებული. ხშირად ეწყობა გამსვლელი სამეცნიერო სესიები და სადიპლომო შრომების დაცვა უშუალოდ ფაბრიკებსა და ქარხნებში.

იწყებს რა ახალ სასწავლო წელს, ინსტიტუტის კოლექტივს ღრმად აქვს შეგნებული ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლის წინაშე დგას. ჩვენი კოლექტივი დაუღალავად იმუშავებს იმისათვის, რომ აღუზარდოს სამშობლოს მაღალკვალიფიციური კადრები — კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

## სექტემბრის დილა

თითქოს ბუდიდან წამოფრენილან,
ბარტყები გულმკერდდახატულები —
ქუჩებში ისე გამოფენილან
ბავშვები სახეგაბადრულები.
ციცქნა ხელებში ახალ ჩანთებით,
ხან ალელვებით, ხან დადინჯებით,
გულისფანცქალით, თვალებანთებით
მიიჩქარიან გოგო-ბიჭები.
მზე ეფერება ნორჩებს სხივებით
და გზაზე ოქროს ტალღად იღვრება.
აგერ ბიჭუნა — მშობლის იმედი
ხელჩაკიდული დედას მიჰყვება.
დღეს რომ სკოლაში აცილებს დედა
და უმშობლოდ გზას ვეღარ იგნებს, —
ოცნებით მე მის მომავალს ვხედავ,
მისი დიდების არნახულ წიგნებს.
ვინ იცის, იქნებ გასაკვირველი
ახალ კუნძულზე დასცეს კარავი,
ვინ იცის, იქნებ იყოს პირველი
მარსზე ჯერ უცნობ გზის გამკვალავი.
ან ის გოგონა, რომ ჰგავს ენძელას,
თმებზე თეთრ ბანტით პეპლისფრთიანით,
მშობლის წასვლა რომ ასე ეძნელა
და კლასში დარჩა თვალცრემლიანი;
ვინ იცის, გახდეს ისეთი ქალი,
ისეთი კარგი და საამაყო,
შრომით არ ჰყავდეს ქვეყნად ბადალი
და ხალხი მასზე ალაპარაკოს...
თითქოს ბუდიდან წამოფრენილან
ბარტყები გულმკერდდახატულები,
თითქოს მაღალი წარაფებიდან
მომსკდარან ლალი ნაკადულები.
მათ სიხარული მოაქვთ ულევი,
ჩანთა უპყრიათ ციცქნა ხელებით.
გულები — მართლაც თაიგულები,
თვალები — მართლაც ცისნათელები.
მათ აუხდებათ, რაც უნატრიათ,
იმედი, სწრაფვა და სასურველი, —
მათ გზას უნათებთ ბრძენი პარტია,
ყველა მზრუნველზე დიდი მზრუნველი.

ნოდარ გურეშიძე.

## პირველი ნაბიჯი

ფიცი რათ უნდა მშობელს, ცხრა შვილი რომ ჰყავდეს, გამორჩეული არც ერთი არა ჰყავს, ყველა ერთნაირია მისთვის, მაგრამ „ის", ვინც ყველას დაასწრო და მშობლის გული ადრე დაისაკუთრა, პირველი მშობლიური სიყვარულით არის გამთბარი, ხოლო სიყვარული თუ პირველია, დაუვიწყარია. მაგრამ დღეც არის შენს სიცოცხლეში ყველაზე დაუვიწყარი. ეს დღე როცა მოგაგონდება, გუშინდელსავით გაიხსენებ და ახლაც კვლავ ასე გატაცებით გიყვარს...

...დაამახსოვრდა ნიკოლოზს: გულს ბაგაბუგი გააქვს ახლაც; როცა ამ ქუჩას აუყვება, ბუდუ მოაგონდება საგანგებოდ გამოწყობილი: ნიკოლოზს მისთვის ხელი ჩაევლო და ისე მიჰყავდა. ამ სკოლაში, აი ამ სადარბაზო შესასვლელთან, სადაც ნიკოლოზმა შვილი მოიყვანა, თურმე ერთხელ ეტლი გაჩერდა. აქედან თავადი მელიტონ ბარათაშვილი გადმოვიდა, მას ბუზმენტით მორთულ ჩოხაში და დიბის ახალუხში, თავზე პატარა ჩაკეცილი ქუდით ბიჭი გადმოჰყვა. ეს ტატო იყო, მომავალი მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამ სკოლის კედლებში გაიღვიძა პატარა ტატოში დიდმა პოეტმა. აქ სწავლობდნენ დიდი ილია, ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი და კიდევ ბევრი სახელოვანი და სასიქადულო ადამიანი.

სკოლა ამაყობდა თავისი აღზრდილებით. და ვინ იცის იქნებ ბუდუც ისეთი კაცი დადგეს, რომ მისით სკოლამ იამაყოს, — ფიქრობდა ნიკოლოზი. მართლაც, ასახელა ბუდუმ ეს სკოლა. ის იყო მერხი დატოვა, ინსტიტუტში შევიდა, რომ ამ დროს ომი დაიწყო. ბუდუს ჯარში გაწვევა ჯერ არ უწევდა, მაგრამ თვითონ მოხალისედ წასვლას ითხოვდა. შინ რომ გაიგეს, აცრემლდა დედა, მაგრამ ნიკოლოზი ამ ამბავს მხნედ შეხვდა. ცოლს შეუძახა, რა გატირებს, ტყუილად კი არ უხარია კაცს ბიჭის დაბადება. ე! რა ვაჟკაცი მყოლია, რამხელა გული ჰქონია, მაგის გულს ტყვია როგორ მიეკარებაო. ასე სჯეროდა მამას. შვილის ასეთ საქციელს კი სკოლასა და მის მასწავლებლებს უმადლოდა.

ჩვენ გავიმარჯვეთ! ბუდუც დაბრუნდა გამარჯვებული გულზე მედლებით, წითელი ვარსკვლავით. ომამდელი სწავლაც მოასწრო, სამთო ინჟინერია ახლა, აჭარის გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელია. შვილებიცა ჰყავს. უფროსი—თეიმურაზი რვა წლისა შესრულდა. საქმეც ამაშია, დღეს, პირველ სექტემბერს ოცდარვაწლის წინანდელი ამბავი გამეორდება. სკოლაში მიჰყავს ნიკოლოზს შვილიშვილი და უხარია, სჯერა, „კარგი ფეხი მაქვსო".

ნიკოლოზს გუშინ საღამოს გაზეთი გაეშალა, მაგრამ არ კითხულობდა, სკამზე ფაქიზად გადაკიდებულ მოსწავლის ფორმას უყურებდა, მერე თეიმურაზს შეხედა. ბიჭი ზღვაზე მზისაგან ისე გარუჯულიყო, კბილები ჰქონდა მარტო თეთრი. ათჯერ მაინც ამოალაგა ახალ ჩანთაში ჩაწყობილი „დედაენა", ფანქრები, კალმისტარი, და კვლავ ალაგებდა.

— ბიჭო თეიმურაზ, ვაჟკაცო! — გაეხუმრა ნიკოლოზი, — რატომ არ დაწვები? ხვალ ადრე ასადგომი ხარ.

— ბაბუ, ვასიკოს ვინ წაიყვანს სკოლაში? იმას ჩემზე კარგი „დედაენა" აქვს? — შეეკითხა თეიმურაზი.

— ვასიკო დიდი ბიჭია, უკვე პიონერია, თვითონ დადის და ახლა სხვა წიგნებითაც სწავლობს.

— მაშინ მე და ვასიკო ერთად წავალთ სკოლაში, ხო? — ემუდარებოდა ნიკოლოზს ბავშვი.

— ჩუ! დაწექი ახლავე, მოისვენე, — გააწყვეტინა შვილიშვილს ნიკოლოზმა. თეიმურაზი ვერ მიხვდა, რატომ ბრაზობდა პაპა. აბა რა იცოდა, რომ მასზე ნაკლებ არ აღელვებდა ხვალინდელი დღის გათენება. არც ის იცოდა ბიჭუნამ: ხვალ რომ სკოლის კარი გაიღება, მისთვის დარეკავს პირველი ზარი. მისი ტოლები შეცვივდებიან დიდ ნათელ ოთახებში, ისიც მიჰყვება, მერხზე დაჯდება, ცნობისმოყვარე თვალებს უცნობ ქალს მიაპყრობს.

— დანგაძე თეიმურაზ ბუდუს-ძე! — ამოიკითხავს მასწავლებელი მის გვარს პირველად. მერე გაივლის წლები. ეს დღე კი — პირველი სექტემბერი — პირველი ნაბიჯი, თბილისის სტალინის სახელობის პირველი სკოლა მუდამ ემახსოვრება თეიმურაზ დანგაძეს.

გ. კასაბაშვილი.

## სკოლა და მტს-ი

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი აქტიურად დაირაზმა. იმ მიზნით, რომ უფრო მაღალ დონეზე აგვეყვანა პოლიტექნიკური სწავლება, ახლო კავშირი დავამყარეთ წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურთან.

გასული სასწავლო წლის დაწყების წინ მტს-მა უსასყიდლოდ გადმოგვცა სახარატო დაზგა, მოტოციკლები და ტრაქტორის ძრავა, დიდი დახმარება გაგვიწია სახელოსნოს მოწყობაში.

პოლიტექნიკური სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის სკოლამ მეორეჯერ მოიპოვა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

შარშან ზაფხულში ჩვენი სკოლის უფროსკლასელებმა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში 140 ჰექტარი სიმინდის ნათესი დაამუშავეს და თვითეული ჰექტარიდან 20 ცენტნერი მარცვალი მიიღეს.

სკოლაში შეიქმნა ნორჩ ტრაქტორისტთა წრე, რომელსაც მტს-ის სახელოსნოს გამგე ინჟინერი თ. კორახაშვილი ხელმძღვანელობს. წრეში გაერთიანებულმა 24 უფროსკლასელმა შეისწავლა ტრაქტორისა და კომბაინის მოწყობილობა და მათი მართვის დაეუფლა. მტს-ის ტექნიკურმა კომისიამ მათ ერთხმად მიანიჭა ტრაქტორისტის წოდება.

მოსწავლე ტრაქტორისტებმა გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე საკოლმეურნეო მინდვრებს მიაშურეს. ზოგი ტრაქტორისტად მუშაობდა, ზოგმა კი კომბაინის საჭეს მოჰკიდა ხელი და უხვი მოსავლის აღებაში ისახელა თავი.

მოსწავლე ვ. ბერიაშვილმა გამოცდილ მექანიზატორ უ. გურამიშვილთან შემცვლელ ტრაქტორისტად დაიწყო მუშაობა. იგი წნორის, ანაგისა და ვაქირის კოლმეურნეობათა მინდვრებს ხნავდა და არდადეგების პერიოდში 256 შრომადღე გამოიმუშავა.

მეათეკლასელი ნ. ცეცხლაძე 1955 წელს კომბაინერად მუშაობდა მოსავლის აღებაზე. ხალისიანი შრომით 350 შრომადღე გამოიმუშავა და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

გამოფენაზე იყვნენ აგრეთვე მეათეკლასელი მ. ნატროშვილი და მეთერთმეტეკლასელები ი. ბერიაშვილი, ზ. სპანდერაშვილი, ი. მიქაშვილი და სხვ.

აღსანიშნავია ფიზიკის მასწავლებელ დ. გალუსტოვის უნარიანი შრომა. დ. გალუსტოვი მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმსაც ასწავლის. ამაში მას დიდად ეხმარება თავისი პროფესია — ინჟინრობა.

პოლიტექნიკური სწავლების უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად წელს სრულყოფილი გავხადეთ სკოლის სახელოსნო. სახელოსნოში ყველა მოსწავლეს საკუთარი სამუშაო დაზგა და ხელსაწყო-იარაღები აქვს.

მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის სწავლების გასაუმჯობესებლად წნორის მტს-მა თავის სახელოსნოში გამოგვიყო მოზრდილი ოთახი, სადაც კაბინეტ-ლაბორატორია მოვაწყეთ, გადმოგვცა ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ნაწილები.

ჩვენ ყველა საჭირო პირობა გვაქვს, რომ პოლიტექნიკური სწავლება უფრო მაღალ დონეზე დავაყენოთ.

ი. ჭაბაშვილი,
სიღნაღის რაიონის წნორის საშუალო სკოლის დირექტორი.



თბილისში ფალიაშვილის ქუჩაზე აშენდა საშუალო სკოლის ახალი შენობა. **სურათზე:** საშუალო სკოლის ახალი შენობა.

ფოტო შ. გოქაძისა.

# ბეჯითი სწავლისა და შეგნებული დისციპლინისათვის!

**გ. ჯიბლაძე,**
**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.**

ასეულ ათასობით მოსწავლე ახალგაზრდა დღეს, პირველ სექტემბერს, შეაღებს ჩვენი სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კარს, და დაიწყება ახალი სასწავლო წელი.

ბევრი რამ ახალი მოაქვს ახალ სასწავლო წელს როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. გასული სასწავლო წლებისაგან განსხვავებით წელს პირველად დაიწყებენ მუშაობას რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატები 1.000 მოსწავლით, აგრეთვე საშუალო სკოლები საწარმოო სწავლებით.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, სკოლა-ინტერნატები იხსნება პარტიის XX ყრილობის დადგენილების საფუძველზე. ამ ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების საჭიროება იმ ფაქტითაც ნათელი გახდა, რომ ათას ადგილზე სამი ათასამდე მსურველი აღმოჩნდა. ყველას დაკმაყოფილება, ცხადია, წელს შეუძლებელი იყო, მაგრამ მომავალი წლისათვის, როცა ახალ სკოლა-ინტერნატებში მიღებული იქნება 2.500-მდე ბავშვი, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მსურველთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიღებს ინტერნატის საგზურს.

ამჟამად სკოლა-ინტერნატები უკვე მოწყობილია კოჯორში 450 ბავშვისათვის, ბეთანიაში— 175, თეთრ წყაროში — 175, გორდში — 100 და განთიადში — 100 ბავშვისათვის. საამისოდ მოსამზადებელი მუშაობა ძირითადად დამთავრებულია, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და კვლავ დიდი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს ნორმალური საქმიანობის ყველა პირობა შევუქმნათ. ამ მხრივ ბევრი რამ არის დამოკიდებული არა მარტო სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელებსა და აღმზრდელ-მასწავლებელთა კოლექტივებზე, არამედ ადგილობრივი ორგანიზაციების ყოველდღიურ დახმარებაზეც. ამიტომ ამ ახალი ტიპის დაწესებულებათა მუშაობას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ როგორც განათლების სამინისტრომ, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, ისე მთელმა საზოგადოებრიობამ.

ასევე ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მოძმე უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცდილების საფუძველზე საქართველოს 20 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საწარმოო სწავლების შემოღებას. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 14 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად, ახალი სასწავლო წლიდან 20 საშუალო სკოლაში შემოღებულია საწარმოო სწავლება მე-8 კლასებიდან, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მიერ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გარკვეული ადგილის დაკავებისათვის. აღნიშნული სკოლების კურსდამთავრებულებს სიმწიფის ატესტატთან ერთად მიეცემათ მოწმობა მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესახებ. ეს საშუალებას მისცემს სკოლის კურსდამთავრებულს, თუ ის უმაღლეს სასწავლებელში არ იქნება მიღებული, ჩაებას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, როგორც გარკვეული სპეციალობის მქონე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ღრმად შეისწავლა უკრაინის სკოლების გამოცდილება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ტიპის სკოლებს, როგორც პოლიტექნიკური სწავლების გარკვეულ დაწესებულებებს, მართლაც სერიოზული, სავსებით რეალური მნიშვნელობა აქვთ მთელ აღმზრდელობითს სისტემაში. ამიტომ, ბუნებრივია, აღნიშნული სკოლების მუშაობა განათლების ორგანოების მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს და მათ დახმარება უნდა გაუწიონ იმ საწარმოებმა თუ დაწესებულებებმა, რომლებიც მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ვალდებული არიან გადამჭრელ ზომებს იღებდნენ აღნიშნული სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. რაც შეეხება სკოლების დაკომპლექტებას, როგორც წესი, იგი უნდა მოხდეს იმ მოსწავლეებით, რომლებსაც სურვილი აქვთ საშუალო სკოლის პროგრამის გავლასთან ერთად დაეუფლონ სათანადო სპეციალობას.

ცხადია, ბევრი რამ დამოკიდებულია შეფო ორგანიზაციების ქმედითს დახმარებაზე სკოლებისადმი, ვინაიდან პოლიტექნიკური განათლებისათვის რაიმე დამატებითი სახსრები ასიგნებული არ არის. ჯერჯერობით პოლიტექნიკური განათლებისათვის მატერიალური ბაზები იქმნება მხოლოდ შეფო ორგანიზაციების დახმარებით, და ამ მხრივ გარკვეული წარმატებანი უკვე თვალსაჩინოა. რესპუბლიკაში ასობით არის საშუალო სკოლები, რომლებსაც შეფმა ორგანიზაციებმა მოუწყეს პოლიტექნიკური განათლებისათვის საჭირო საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები მონდომებით ეუფლებიან ამა თუ იმ სპეციალობას. მაგრამ ჯერ კიდევ არიან სკოლები, რომლებსაც სახელოსნოები არ მოუწყვიათ და მხოლოდ „ზევიდან" დაფინანსებას მოელიან. თუ ასე განაგრძეს, აღნიშნული სკოლები ხელმოცარული დარჩებიან. ჩვენი ამოცანაა ყველა ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ სკოლები უზრუნველვყოთ სასწავლო სახელოსნოებით პირველ ყოვლისა შეფო ორგანიზაციების დახმარების შედეგად და არ დაველოდოთ მარტოოდენ ზემდგომი ორგანოებიდან დაფინანსებას.

როგორც ცნობილია, შრომითი აღზრდა ამჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამიტომ საჭიროა არა მარტო ვიზრუნოთ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, არამედ ასევე ყველა ზომა მივიღოთ, რათა შევქმნათ პოლიტექნიკური განათლების უზრუნველსაყოფად საჭირო მასწავლებელთა კადრები და ამ მიმართულებით მივაღწიოთ გარკვეულ გარდატეხას.

მართალია, რესპუბლიკის სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობას უკვე მოწყობილი აქვს პოლიტექნიკური განათლებისათვის საჭირო სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები, ბევრგან ეს ნაკვეთები მართლაც სანიმუშოა, მაგრამ სკოლების გარკვეულმა ნაწილმა დღემდე მაინც ვერ დააღწია თავი ამ მხრივ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთი სკოლის მუშაკი ნაკვეთს უყურებს არა როგორც სწავლების ობიექტს, არამედ შემოსავლის წყაროს. მთავარი კი ის არის, რომ სასწავლო-საცდელი ნაკვეთი იყოს სასწავლო ობიექტი, სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი დარგებით წარმოდგენილი, და არა ერთი ან ორი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანისათვის განკუთვნილი მიწის ნაჭერი, რომელიც სკოლას შემოსავალს აძლევს. მთელ რიგ სკოლას ისიც კი ვერ მოუხერხებია, რომ სასწავლო-საცდელ ნაკვეთს წარწერა გაუკეთოს, თვით ნაკვეთი ქვენაკვეთებად დაყოს და თვითეულ მათგანს მოსწავლეთა ბრიგადა მიუჩინოს.

ყველა ამ ნაკლს ბოლო უნდა მოვუღოთ და ამოცანად დავისახოთ სასწავლო-საცდელი ნაკვეთების გადაქცევა პოლიტექნიკური განათლების ფრიად მნიშვნელოვან ობიექტებად.

სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ბევრი ნაკლი გვაქვს. კერძოდ, განათლების სამინისტროს ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია ის, რომ დღემდე მოუგვარებელია პროგრამებისა და სახელმძღვანელოების საკითხი. მთელ რიგ დისციპლინებში პროგრამები ჯერ კიდევ არ არის მზად. მართალია, ეს მარტო სამინისტროს ბრალი არ არის, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს დამნაშავე, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ სკოლებს დავუგვიანეთ პროგრამების მიწოდება, ხოლო ზოგიერთ დისციპლინაში პროგრამა დღემდე სრულებით არა გვაქვს. ჩვენი პროგრამები და სახელმძღვანელოები ჯერ კიდევ გადატვირთულია ზედმეტი მასალით. ვერ შევძელით მათი განტვირთვა, სასწავლო მასალის შემცირება. ამას ყველა გრძნობს, მაგრამ გარკვეული ზომები დღემდე არ არის მიღებული. საჭიროა სწავლება უფრო მჭიდროდ დავუახლოოთ ცხოვრების რეალურ მონაცემებს და ბოლო მოვუღოთ ისეთ მდგომარეობას, როცა მოსწავლის ჩანთა ვეღარ იტევს თუნდაც მარტო ერთი დღისათვის საჭირო წიგნებს.

რა მდგომარეობაა წელს სახელმძღვანელოების გამოცემის მხრივ?

უკვე დაბეჭდილია 102 სახელწოდებიდან 101 წიგნი 2.580.388 ეგზემპლარის რაოდენობით. მართალია, ეს რაოდენობა თითქოს დიდია, მაგრამ იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა მოთხოვნილებას. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მომავალი წლისათვის გაიზარდოს სახელმძღვანელოთა ტირაჟი, რათა მოსწავლეთა მეტი რაოდენობა დავაკმაყოფილოთ სასწავლო წიგნებით. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს სახელმძღვანელოების პოლიგრაფიულ შესრულებას. ზოგიერთი წიგნი გამოცემულია მეტისმეტად დაბალხარისხოვნად, ცუდად არის გაფორმებული.

წელსაც ფრიად სერიოზული საკითხია სკოლების დაკომპლექტება მასწავლებელთა კადრებით. დასამალავი არ არის, რომ უმაღლესდამთავრებულთა ერთი ნაწილი, დიპლომიანი მასწავლებლები, მათ შორის ბევრი ძალიან მომზადებული და კარგი პედაგოგიური მონაცემებით დაჯილდოებული, სამუშაოთი დატვირთული არა გვყავს, მაშინ როცა სკოლებში ჯერ კიდევ საგრძნობლად არიან ეგრეთწოდებული შეუფერებელი, უვარგისი, დისკვალიფიცირებული მასწავლებლები, რომლებიც არა თუ ხელს არ უწყობენ სკოლების მუშაობას, არამედ პირიქით, აბრკოლებენ მათს წინსვლას. სკოლის ხელმძღვანელობა მოვალეა სისტემატურად უწევდეს კონტროლს მასწავლებელთა მუშაობას, იღებდეს ზომებს იმისათვის, რომ სკოლები განთავისუფლდნენ ხსენებული კატეგორიის მასწავლებელთაგან, რათა მათი ადგილი ღირსეულმა ცვლამ დაიკავოს.

ყველა კარგად გრძნობს, თუ რა მდგომარეობაა სკოლების მატერიალური ბაზის მხრივ. ჩვენი სკოლების მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს შესაფერი ბინა. განა საჭიროა მტკიცება, რომ ახალი სკოლების მშენებლობას, მით უფრო მეექვსე ხუთწლედში, საყოველთაო საშუალო განათლების შემოღებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს? ამ მხრივ სამინისტრო ყველა ზომას იღებს, მაგრამ მშენებელი ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ეხმარებიან სკოლებს. თუ შარშან ახალი სასკოლო შენობების მშენებლობის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, წელს შედარებით ნაკლები თანხის ათვისების საქმეც კი საფრთხეშია. 15 მილიონ მანეთამდე თანხა იყო წელს მოცემული ახალი სასკოლო შენობების მშენებლობისათვის, მაგრამ 1 აგვისტომდე ათვისებულ იქნა მხოლოდ 7.205.000 მანეთი, ანუ წლიური გეგმის 51 პროცენტი.

ამის შემდეგ როგორ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტებს, რომლებიც წლიდან წლამდე აგვიანებენ სასკოლო შენობათა საექსპლოატაციოდ გადაცემას ან სრულებით არ ასრულებენ სასკოლო მშენებლობის გეგმებს? განა შეიძლება მოვითმინოთ, რომ თითქმის შვიდი წელიწადია შენდება თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შემაერთებელი კორპუსი და დღემდე იგი არათუ დამთავრებული არ არის, არამედ, ხსენებული სამინისტროს № 1 სამშენებლო ტრესტს არც კი მოუფიქრებია მისი განახლება? № 2 სამშენებლო ტრესტმა კი ბოგდანოვკის რაიონის სოფელ განძის სკოლის მშენებლობა მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ დაიწყო, ისიც ნელი ტემპით. იმავე სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტს დღემდე არ დაუწყია ქ. ცხაკაიას საშუალო სკოლის მშენებლობა. № 2 ტრესტმა დღემდე ვერ მოაგვარა ახმეტასა და წითელწყაროში სასკოლო შენობათა მშენებლობის დაწყება.

უფრო მეტი საყვედური უნდა ვუთხრათ № 3 სამშენებლო ტრესტს, რომელმაც სტალინირის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის საშუალო სკოლის, სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის სკოლის მშენებლობაში პირდაპირ უმოქმედობის რეკორდი დაამყარა. № 2 სამშენებლო ტრესტმა კი თავი ვერ მოაბა ადიგენის რაიონის სოფელ ვარხანის სკოლისა და მასწავლებელთა ბინის მშენებლობას.

მაგრამ მარტო სამშენებლო ტრესტებისადმი როდი გვეთქმის საყვედური. ამ მხრივ ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოც უყურადღებობასა და უდარდელობას იჩენს. სხვანაირად ვერ ავხსნით მდგომარეობას სოფელ ჭელის დაწყებითი სკოლის მშენებლობაზე, რომელსაც ადიგენის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო კანტორა აწარმოებს. პირდაპირ გაუმართლებელი და შეუწყნარებელია გურჯაანის რაიონის საფინანსო განყოფილების მოქმედება: მან დღემდე ვერ გასცა ვეჯინის საშუალო სკოლის მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოთა თანხა — 200.000 მანეთი.

საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა, განათლების ორგანოებმა ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რომ სასკოლო შენობებისა და მასწავლებელთა ბინების მშენებლობის საქმე რესპუბლიკაში გადაჭრით გაუმჯობესდეს და ამ მხრივ სახელმწიფოს მიერ მოცემული თანხები მთლიანად იქნას ათვისებული.

ასევე სერიოზული საკითხია სასკოლო შენობათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტის შესრულება. სკოლებმა ძირითადად უკვე აითვისეს რემონტისათვის მიცემული თანხები. ამ საქმეში წელს მათ კარგი დახმარება გაუწიეს შეფმა ორგანიზაციებმაც. არ შეიძლება დადებითად არ იქნას მოხსენიებული ქ. სოხუმის ის საწარმო, სადაც უფროსად მუშაობს ამხ. მ. ისაევი. ამ საწარმომ კაპიტალურად შეაკეთა სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის შენობა, გადასცა მას ავტომანქანა, მოუწყო სასწავლო სახელოსნო და შეუძინა ინსტრუმენტები, შეუსრულა დაახლოებით 200.000 მანეთის სამუშაო. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა სკოლის შენობა ააგო, გალის რაიონის შეშელეთის კოლმეურნეობამ — შვიდწლიანი სკოლის შენობა. მოსახლეობის ინიციატივით აჭარაში რამდენიმე ახალ სასკოლო შენობას აგებენ. ასეთი ფაქტები ძალიან ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე მახარაძის რაიონიდან. მისასალმებელი ფაქტია, რომ პარტიის XX ყრილობის დადგენილების შემდეგ კოლმეურნეობები აქტიურად ჩაებნენ სასკოლო მშენებლობაში, ისინი ეხმარებიან სკოლებს როგორც სასკოლო შენობების აგების, ისე სახელოსნოების გაფართოების, სასპორტო დარბაზებისა და ფიზკულტურული მოედნების მოწყობაში. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ როგორც მოწინავენი მახარაძის, ზუგდიდის, კასპის, სიღნაღის, ცაგერისა და გურჯაანის რაიონები.

სულ რესპუბლიკაში კაპიტალურად შეკეთდა 796 სასკოლო შენობა, 114 საბავშვო ბაღი და 69 სხვა სასწავლო დაწესებულება. მიმდინარე რემონტი გაუკეთდა 1.696 სკოლის შენობას, 50 საბავშვო ბაღს და 5 სასწავლო დაწესებულებას.

ზოგიერთმა რაიონმა თავიდანვე სათანადო ყურადღება არ მიაქცია ახალი სასკოლო ინვენტარის დამზადებას. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩნენ სამხრეთ ოსეთი, ვანი, ლენტეხი და ჩოხატაური.

იმის გამო, რომ ზოგიერთი რაიონი ყურადღებით არ ეკიდება საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებას, არის მოსწავლეების მიერ სკოლის დატოვების, კონტინგენტის შეუნარჩუნებლობის ფაქტები. გასულ სასწავლო წელს, როგორც ცნობილია, რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი 39.082 მოსწავლით შემცირდა, მარტო თბილისში — 5.310 მოსწავლით, ამბროლაურის რაიონში — 481 და თერჯოლის რაიონში — 530 მოსწავლით. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ამ მხრივ მდგომარეობა აფხაზეთში (3.708 მოსწავლე), აჭარაში (2.862 მოსწავლე) და სამხრეთ ოსეთში (1.936 მოსწავლე).

მოსწავლეების მიერ სკოლის დატოვების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ზოგიერთ რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლებთან ინტერნატების მოწყობას. სასკოლო ინტერნატების გეგმა რომ სრულდებოდეს, მაშინ არ გვექნებოდა ის მდგომარეობა, რომელშიც ზოგიერთი რაიონი მოექცა. მაგალითად, თუ ახალ სასწავლო წელს რესპუბლიკის 140 სკოლასთან უნდა გაიხსნას ინტერნატი 6.000 მოსწავლით, 1 აგვისტომდე მომზადებული იყო მხოლოდ 47 ინტერნატი 1.632 მოსწავლისათვის. ეს უაღრესად სერიოზული ნაკლია და საჭიროა გავაფრთხილოთ განათლების განყოფილებები, რაიონული აღმასკომები და პარ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

## ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის ცნობა

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა დაადგინა 1957 წლის 9-12 თებერვალს მოიწვიოს პარტიის ეროვნული ყრილობა. წინა ყრილობა გაიმართა 1950 წელს. „დიდი შეწყვეტა ყრილობებს შორის, — ნათქვამია ცნობაში, — აიხსნება სმიტის კანონის საფუძველზე პარტიის ბევრი ხელმძღვანელის დაპატიმრებით, პოლიტიკური რეპრესიებითა და პარტიის წევრთა დევნით".

ცნობაში აღნიშნულია, რომ ყრილობის წინ „მოეწყობა დისკუსია პარტიის წევრებს შორის და საოლქო ყრილობებზე და შტატების ორგანიზაციის ყრილობებზე მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ყრილობა უკავშირდება ა. ლინკოლნის და ფ. დუგლასის (ზანგთა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის თვალსაჩინო მოღვაწე. — რედ.) დაბადების დღეებს, რათა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბრძოლას სამოქალაქო უფლებებისათვის, რომელშიც კომუნისტური პარტია პიონერი იყო და განაგრძობს ბრძოლას პირველ რიგებში".

ეროვნულმა კომიტეტმა აგრეთვე გამოაცხადა, რომ 29-30 სექტემბერს გაიმართება ეროვნული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შტატების კომიტეტების წარმომადგენლები, რათა განიხილონ ის ამოცანები, რომლებიც პარტიის წინაშე დგას საარჩევნო კამპანიაში, მარქსისტული პრესის პრობლემები და ყრილობისათვის მზადების საკითხები.

## ინგლისის ფინანსთა მინისტრის მაკმილანის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ლონდონი, 30 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ლონდონში გაიმართა ინგლისის ფინანსთა მინისტრის მაკმილანის პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობას. მაკმილანმა განაცხადა, რომ ინგლისს ემუქრება საფრთხე, რადგან კვლავ მცირდება ოქროსა და დოლარის მარაგი.

თავისი სიტყვის ძირითადი ნაწილი ფინანსთა მინისტრმა მიუძღვნა პოლემიკას პროფკავშირებთან, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა — გადიდდეს მუშათა ხელფასი კომპანიების მოგების შემცირების გზით. მაკმილანი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელია თითქოს იმ საფუძვლით, რომ მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მოწყობილობის განახლებას, ახალ კაპიტალდაბანდებებს, გადასახადების გადახდას. ამავე დროს მაკმილანმა გვერდი აუარა აბსოლუტურ ციფრებს, რომლებითაც იზომება გასანაწილებელი მოგება, ან დივიდენდები, რომლებიც კაპიტალისტების ჯიბეში მიდის.

მაკმილანმა თავისი სიტყვის დასასრულს მოუწოდა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა მომავალ კონგრესს, რომელიც სექტემბრის დამდეგს გაიმართება, თავი შეიკავონ ხელფასის გადიდების მოთხოვნებისაგან.

ინგლისის პრესა დღეს ფინანსთა მინისტრის განცხადებას ახასიათებს როგორც აშკარა ზეგავლენას პროფკავშირებზე მომავალ კონგრესთან დაკავშირებით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა ხელფასის საკითხზე. გაზეთი „დეილი ჰერალდი" გადაჭრით გმობს მოთხოვნას, რომ გაიყინოს ხელფასი სიძვირის განუწყვეტელი ზრდის პირობებში, როცა კონტროლი არ ეწევა ფასებს და არ ხდება მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა და მოგების სახელმწიფო რეგულირება.

## ამერიკული ჟურნალი განიარაღების პრობლემის შესახებ

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების ჟურნალ „კომერშლ ენდ ფაინენშლ ქრონიკლში" დაბეჭდილია კონგრესის გაერთიანებული ეკონომიური კომისიის მკვლევართა შტატის ხელმძღვანელის ენსლის სტატია განიარაღების პრობლემის შესახებ. სტატია არსებითად ეკამათება ამერიკის იმ წრეებს, რომლებიც მდიდრდებიან გამალებული შეიარაღებით და არ არიან დაინტერესებულნი მისი შემცირებით, აშინებენ განიარაღების მომხრეებს სერიოზულ ეკონომიურ შერყევათა პერსპექტივით იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ხარჯები შემცირდება.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ ამერიკელ ხალხს გულწრფელად სურს განიარაღება და მშვიდობიანი მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების რესურსების გამოყენება, ავტორი აღნიშნავს, რომ სამხედრო წარმოებას ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი გაქანება მიეცა და ამერიკის ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. დიდი სამხედრო ძალების შენახვა ძლიერ გავლენას ახდენს ამერიკის თანამედროვე ეკონომიკაზე. ენსლი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში „ძნელია ვიპოვნოთ ისეთი დარგი, სადაც პოლიტიკას არ განსაზღვრავდეს სამხედრო" მოსაზრებანი.

ახასიათებს რა ამერიკელ მრეწველთა ვარაუდს გამალებული შეიარაღების განგრძობაზე, ავტორს მოჰყავს განცხადება კომპანია „ჯენერალ დაინემიქსის" თავმჯდომარისა, რომელმაც თქვა: თუ „მოხდა თავდაცვის ხარჯების მოულოდნელი და მკვეთრი შემცირება, ამას უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვება მთელი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის".

ენსლის მოჰყავს მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ როგორ მოიგებდა რიგითი ამერიკელი, სამხედრო მიზნებისათვის რომ არ იხარჯებოდეს სახსრები. „მაგალითად, ერთი საესკადრო ნაღმოსნის აშენებისათვის საჭირო თანხა საკმარისია იმისათვის, რომ აშენდეს 10 ათას დოლარად ღირებული სახლი 3 ათასზე მეტი ოჯახისათვის. თანამედროვე მძიმე ბომბდამშენის ასაგებად საჭიროა იმდენივე, რამდენიც 125 ათასზე მეტი კაცის საავადმყოფო მომსახურებისათვის. თანამედროვე რეაქტიული ავიაგამანადგურებლის დაკვეთების ღირებულება საკმარისია იმისათვის, რომ ავანაზღაუროთ კოლეჯში ასზე მეტი ახალგაზრდის ოთხი წლის სწავლება". ნედლეულის უდიდესი რესურსები „გამოყენებულია მრეწველობაში, რომელიც მოხმარების საქონელს არ აწარმოებს".

სამხედრო ხარჯების შემცირება, ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, „შექმნიდა პირობებს დიდი ხანია უყურადღებოდ მიტოვებული საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სკოლების, საავადმყოფოებისა და გზატკეცილების მშენებლობისათვის, რომლებიც მზარდ მოსახლეობას ესაჭიროება... ადგილობრივ ხელისუფლებსა და შტატების ხელისუფლებს გაუადვილდებოდათ სახელმწიფო მშენებლობის დაფინანსების ძირითადი პრობლემების გადაჭრა, მშენებლობისა, რომელიც შესაძლებელი გახდება მატერიალური რესურსებისა და მუშახელის განთავისუფლების მეოხებით". სამხედრო ხარჯების შემცირებით შესაძლებელი გახდება აგრეთვე გადასახადების შემცირება.

აღნიშნავს რა, რომ „ეკონომიკის ხელახალი ორიენტაცია სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს", ავტორი მოუწოდებს ხელისუფლებს არ დაელოდონ განიარაღების კონკრეტულ გეგმებს და შეიმუშაონ მშვიდობიან რელსებზე ეკონომიკის გადაყვანის მოსამზადებელი ეკონომიური ღონისძიებანი. ასეთ ღონისძიებათა საჭიროება, აღნიშნავს იგი, განსაკუთრებით აშკარა გახდა, რამდენადაც მსოფლიოში უკვე ხორციელდება ღონისძიებანი შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის (იგულისხმება შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც მოაწყო საბჭოთა კავშირმა. — რედ.).

მთელ მსოფლიოში მშვიდობას უზრუნველყოფის მოთხოვნა იმდენად მტკიცეა, აღნიშნავს ავტორი, რომ საჭიროა შევიმუშაოთ ღონისძიებანი ეკონომიკის მშვიდობიან ყაიდაზე გარდასაქმნელად და მოვემზადოთ ამისათვის. „ეკონომიური გარდაქმნის პრობლემები და ღონისძიებანი, რომლებსაც თავდაცვის ხარჯების შემცირება წარმოშობს, არ წარმოადგენენ ეკონომიურ დაბრკოლებებს განიარაღებისა და მშვიდობის გზაზე და არ უნდა მივიჩნიოთ ასეთ დაბრკოლებებად".

თუმცა ჟურნალის რედაქცია სპეციალურ შენიშვნაში აღნიშნავს, რომ ენსლის სტატიაში გამოთქმული შეხედულებანი ასახავენ მის „პირად აზრს" და „აუცილებლად როდი ახასიათებენ კონგრესის გაერთიანებული ეკონომიური კომისიის ან მის ცალკეულ წევრთა თვალსაზრისს", მაგრამ ეს გამოსვლა დამახასიათებელია ამერიკის შეერთებული შტატების იმ საღად მოაზროვნე საქმიანი წრეების პოზიციისათვის, რომლებსაც შეგნებული აქვთ არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ ეკონომიური საშიშროებაც, რასაც ამერიკის შეერთებულ შტატებს უქმნის გამალებული შეიარაღების განგრძობა.

## საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის წარმატება ინგლისში

ლონდონი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ საღამოს ლონდონის „ემპრეს ჰოლის" დარბაზში გაიმართა საბოლოო კონცერტი საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლისა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის ბ. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით. „ემპრეს ჰოლის" სცენაზე საბჭოთა მსახიობების უკანასკნელი გამოსვლის სანახავად 7 ათასამდე კაცი მოვიდა. მაყურებელნი განსაკუთრებით გულთბილად ხვდებოდნენ პროგრამის თვითეული ნომრის შესრულებას და არაერთხელ მოითხოვდნენ მათ გამეორებას. კონცერტის დასასრულს, ანსამბლის მსახიობებმა დიდი აღმავლობით შეასრულეს ინგლისურ ენაზე შოტლანდიური სიმღერა მეგობრობაზე. როგორც კი გაისმა სიმღერა, ბევრი მაყურებელი წამოდგა და ბანი მისცა მომღერლებს. კონცერტის დამთავრების შემდეგ დამსწრეებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს საბჭოთა მსახიობებს. ანსამბლის ხელმძღვანელ ბ. ალექსანდროვსა და მსახიობებს ყვავილების დიდი თაიგულები მიართვეს. სცენაზე ავიდა სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წარმომადგენელი გენერალ-ლეიტენანტი კენეტ ლოკი, რომელმაც მადლობა გადაუხადა მსახიობებს დიდი სიამოვნებისათვის, რაც მათ ინგლისელ მაყურებლებს განაცდევინეს.

რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ბ. ალექსანდროვმა საპასუხო სიტყვაში მადლობა უძღვნა ინგლისელებს გულითადი მიღებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ სსრ კავშირისა და ინგლისის ხალხთა მეგობრობა კვლავაც განმტკიცდება.

დღეს საღამოს ანსამბლის მსახიობები ტელევიზიით გამართავენ გამოსათხოვარ კონცერტს. 31 აგვისტოს ანსამბლი სამშობლოში მიემგზავრება საბჭოთა თბომავალ „ვიაჩესლავ მოლოტოვით".

## სპორტის ამბები

### დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესი

30 აგვისტოს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდეს) XXVII კონგრესმა. კონგრესის სხდომები ხუთ დღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. კონგრესში მონაწილეობდნენ ევროპის, ამერიკისა და აზიის ოცდაათი ეროვნული საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლები.

კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილებანი საერთაშორისო საჭადრაკო მოძრაობის განვითარების მთელ რიგ საკითხებზე, მსოფლიო პირველობის შეჯიბრებათა მოწყობის სისტემაზე, აგრეთვე მიანიჭა გროსმაისტერის, ოსტატისა და საერთაშორისო მსაჯის საერთაშორისო წოდებანი.

კონგრესის მუშაობა ურთიერთგაგებისა და ამხანაგობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა. მან ხელი შეუწყო ეროვნული საჭადრაკო ფედერაციების ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას. (საკდესი).

### დაიწყო მსოფლიო პირველობა ფრენბურთში

პარიზი, 30 აგვისტო. (საკდესი). დღეს პარიზში დაიწყო 1956 წლის მსოფლიო პირველობის გათამაშება ფრენბურთში ვაჟებისა და ქალებისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის 24 ქვეყნის ვაჟთა გუნდები და 17 ქვეყნის ქალთა გუნდები. წინა მსოფლიო პირველობასთან შედარებით მონაწილეთა ასეთი რაოდენობა რეკორდულია. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ვაჟთა და ქალთა გუნდები (1952 წლის მსოფლიო ჩემპიონები).

ჩემპიონატი დაიწყო შერჩევითი წინასწარი თამაშით ქვეჯგუფებში. 24 ვაჟთა გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს ათ ქვეჯგუფში, გამარჯვებულნი ქმნიან ათი გუნდის ფინალურ ჯგუფს. გუნდი, რომელიც გაიმარჯვებს ფინალში (ფინალის გათამაშება მოეწყობა წრიული სისტემით), მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. 17 ქალთა გუნდი დაყოფილია ხუთ ქვეჯგუფად. თვითეული ქვეჯგუფის ორი უძლიერესი გუნდი შევა ათი გუნდის ფინალური ჯგუფის შემადგენლობაში. მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლა ფინალურ ჯგუფში აგრეთვე წრიული სისტემით მოეწყობა.

ფინალური ასპარეზობა დაიწყება 4 სექტემბერს. მსოფლიო პირველობის გათამაშება ფრენბურთში 12 სექტემბრამდე გასტანს.

### ფეხბურთი

#### საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

ხარკოვი, 30 აგვისტო. გუშინ აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. ადგილობრივი „ავანგარდის" გუნდი შეხვდა ინდონეზიის რესპუბლიკის ფეხბურთელებს. მატჩი, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

#### სსრ კავშირის პირველობაზე

„ბ" კლასი

ალმა-ატა, 30 აგვისტო. მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „უროჟაის" და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელთა გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა.



კურორტი გაგრა. ჩელუსკინელთა სახელობის სანატორიუმის დამსვენებელთა ერთი ჯგუფი.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## იუგოსლავი პიონერები სტუმრად თბილისელ პიონერებთან და მოსწავლეებთან

თბილისში ორ დღეს იყო სტუმრად იუგოსლავიის პიონერთა ჯგუფი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პიონერთა მოწვევით. თბილისში ჩამოსვლამდე ნორჩი სტუმრები იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში, ყირიმში.

თბილისის პიონერები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს. იუგოსლავმა პიონერებმა დაათვალიერეს ქალაქი. ისინი იყვნენ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კომკავშირის ხეივანში, კულტურისა და დასვენების პარკში, ფუნიკულიორის პლატოზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რკინიგზელთა ბავშვების წყნეთის პიონერთა ბანაკში, საბავშვო რკინიგზაზე, ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში. დაწვრილებით გაეცნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობას, მის კაბინეტებს, ლაბორატორიებს, სახელოსნოებს. აქ გაიმართა გამოსათხოვარი საღამო.

გულთბილად გააცილეს აეროდრომზე ახალი მეგობრები თბილისელმა პიონერებმა და მოსწავლეებმა. (საქდესი).

## სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები დედაქალაქის მოსახლეობისათვის

დღითიდღე იზრდება ხილ-ბოსტნეულის შემოზიდვა საკოლმეურნეო ბაზრებსა და საკომისიო ვაჭრობის მაღაზიებში. გუშინ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ — თბილისში საკომისიო წესით გასასყიდად ორგანიზებულად, 50 ავტომანქანით გამოგზავნეს 140 ტონაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები — 10 ტონა საზამთრო, 3 ტონა კარტოფილი, ამდენივე თაფლი, 7 ტონა ხილი, 3 ტონა პამიდორი, კიტრის მწნილი, ხორცი, ფრინველი, გოჭები, ფქვილი, თხილი, ხახვი და სხვ. პროდუქტები. პროდუქტები სასწრაფოდ გადაეცა „თბილკოოპვაჭრობის" საკომისიო მაღაზიებსა და პავილიონებს, აგრეთვე სავაჭრო ფარდულებს, რომლებიც ქალაქში 38 ადგილას არის მოწყობილი.

„თბილკოოპვაჭრობა" ამ დღეებში კიდევ დიდძალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მოელის ბოლნისის, მარნეულის, გურჯაანის რაიონების მწარმოებლებისაგან.

## შემთხვევები

### მილიციის მუშაკის კეთილშობილური მოქმედება

ამას წინათ არაჩვეულებრივად ადიდდა მდინარე რიონი, წყალი კალაპოტიდან გადმოვიდა, ნაპირს ანგრევდა და ხეებს გლეჯდა. მდინარის პირად იდგნენ გუმათჰესის მშენებლობის მუშები და სხვა მოქალაქეები. უეცრად მუშა გ. ძნელაძე, რომელსაც მდინარემ ფეხქვეშ მიწა გამოაცალა, წყალში ჩავარდა. ნაპირზე შეიქნა ჩოჩქოლი, მაგრამ ვერავინ ბედავდა სტიქიას შებრძოლებოდა.

ხმაურზე გაჩნდა მილიციის ქუთაისის რაიგანყოფილების უბნის რწმუნებული გ. კოვზირიძე. მოქალაქის სიცოცხლის გადასარჩენად იგი აბობოქრებულ მდინარეში გადაეშვა. ცურვით მიუახლოვდა გონდაკარგულ მუშას, მაგრად ჩასჭიდა ხელი, ნაპირზე გამოიყვანა და სასწრაფოდ დახმარება აღმოუჩინა.

მილიციის მამაცმა მუშაკმა გ. კოვზირიძემ თავისი თავგანწირული მოქმედებით გადაარჩინა მოქალაქე, რითაც მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

### მოსწავლეებმა ხანძარი ჩააქრეს

თელავი. 30 აგვისტო. (საქდესი). რამდენიმე დღის წინათ სოფელ შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში ხანძარი გაჩნდა. მძვინვარე ცეცხლი მოსპობას უქადდა საჯიშე მეღორეობის ფერმის თივის ზვინებს და შენობას, სადაც თელავის მტს-ის სასოფლო-სამეურნეო მანქანები ინახება.

ხანძარი შეამჩნიეს კოლმეურნე ნ. არუთინიანმა და მოსწავლეებმა კოლია არუთინიანმა, ივერ გაგნიძემ და ლია პაატაშვილმა. კოლმეურნე გაიქცა, რათა ტელეფონით გამოეძახებინა სახანძრო რაზმი რაიონის ცენტრიდან. ამასობაში ბავშვები მარჯვედ შეუდგნენ ხანძრის ჩაქრობას და როცა სახანძრო რაზმი მოვიდა, ცეცხლი უკვე ჩაქრობილი იყო. კოლმეურნეობის დოვლათი გადარჩა.

კოლმეურნეობის გამგეობამ მადლობა გამოუცხადა მოსწავლეებს და დაასაჩუქრა ისინი.

1956 წლის 10 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია **საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მეორე პლენუმი** აქტივთან ერთად.

პლენუმი ჩატარდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8)

საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## ბეჯითი სწავლისა და შეგნებული დისციპლინისათვის!

(დასასრული)

ტიული ორგანიზაციები, რომ მათ უაღრესად ენერგიული ზომები უნდა მიიღონ ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის ადგილზე მოგვარებისათვის.

ამას წინათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლებთან ინტერნატების მოწყობის მხრივ ძალიან ჩამორჩებიან ასპინძის, ახმეტის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს და ხობის რაიონები. პირველ რიგში ამ რაიონებს ევალებათ მოაგვარონ სკოლებთან ინტერნატების მოწყობის საქმე, ვინაიდან თუ ეს არ გაკეთდა, ისინი თავს ვერ დააღწევენ მოსწავლეების მიერ სკოლის დატოვებას და სერიოზულ ხარვეზებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაში.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების უზრუნველსაყოფად განათლების ორგანოები ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით და მათი დახმარებით წელს საზეიმოდ აფორმებენ ქალაქებს, რაიონულ ცენტრებს, სასკოლო შენობებს.

ახალი წელი საზეიმო ვითარებაში დაიწყება, რათა სრული მზადყოფნა გამოვავლინოთ სწავლისა და შრომისათვის, მივაღწიოთ ახალ წარმატებებს მოსწავლეთა შეგნებულობის ამაღლების, დისციპლინის განმტკიცებისა და აკადემიური წარმატების საქმეში. ამ მიზნით, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში 1 სექტემბერს გაიმართება საზეიმო საღამოები, რომლებიც ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნება, ხოლო მეცადინეობის დაწყებამდე სკოლებში გაიმართება მიტინგები. საღამოებსა და მიტინგებში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, აგრეთვე ჩვენი მეცნიერების, ლიტერატურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები. პარკებსა და ბაღებში 1-2 სექტემბერს მოეწყობა ახალგაზრდობის სეირნობანი და გართობანი.

განათლების სამინისტროს სპეციალური ბრძანებით მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე ყველა სკოლაში გაიმართება მშობელთა საერთოსასკოლო და საკლასო კრებები, რომლებზეც ფართოდ უნდა იქნას განხილული საკითხი გასული სასწავლო წლის ნაკლოვანებებისა და ახალ სასწავლო წელს სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელების საქმეში მშობლების როლის შესახებ. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ბავშვთა აღზრდაში გადაჭრით ავამაღლოთ მშობელთა როლი, ხოლო ამ მხრივ გარკვეული მუშაობა უნდა გასწიონ სკოლებთან ერთად პარტიულმა, კომკავშირულ-პიონერულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

მოსწავლეთა შეგნებულობის ამაღლება იმის აუცილებელი პირობაა, რომ ავამაღლოთ თვით აკადემიური წარმატების დონე, სკოლებში განვამტკიცოთ დისციპლინა და დავამყაროთ სრული წესრიგი. ამ მხრივ მასწავლებელთა კოლექტივები და მშობლები უნდა აძლევდნენ ბავშვებს სანიმუშო მაგალითს. მოსწავლეს ღრმად უნდა ჩავუნერგოთ იმის შეგნება, რომ მისი პირდაპირი მოვალეობაა დაუჯეროს, პატივისცემით მოეპყროს უფროსს, რომ უამისოდ შეუძლებელია მას კარგი მოსწავლის სახელი ჰქონდეს. კარგი მოწაფე მარტო ის კი არ არის, ვინც კარგად სწავლობს, არამედ ის, ვინც კარგად სწავლასთან ერთად უფროსის დამჯერეა, უფროსს მორიდებით ექცევა, ყველგან და ყოველთვის იცავს წესრიგს, დისციპლინას და ჰკიცხავს საზოგადოებრივი საერთო ცხოვრების ნორმების დამრღვევთ.

მასწავლებლების, მშობლების ამოცანა ახლა ის არის, რომ პარტიულ, კომკავშირულ-პიონერულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მოსწავლეებს განუმარტონ პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების დაძლევის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ღრმა აზრი. ეს მუშაობა კამპანიური კი არ არის, არამედ მთელი აღმზრდელობითი კომპლექსის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს. ამ მიმართულებით საჭიროა სისტემატური, ყოველდღიური, გულმოდგინე მუშაობა. განათლების სამინისტროს დასჭირდება უფრო ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს მოსწავლე ახალგაზრდობაში პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების დასაძლევად. ამ მხრივ მას დახმარება უნდა გაუწიოს მთელმა საზოგადოებრიობამ.

სკოლებში სწავლების აკადემიური დონის ამაღლება, რა თქმა უნდა, მჭიდროდ არის დაკავშირებული მშობლიური ენის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლასთან. ენების სწავლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კერძოდ, მშობლიური ენის შესწავლა ძირითადია, ურომლისოდაც არ შეიძლება მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცედ დაუფლება. ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში ისწავლება რუსული, ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული ენები. ცალკე საკითხია უცხო ენების შესწავლა. 4-5 სკოლაში წელს საცდელად შეიძლება შემოღებულ იქნას აღმოსავლეთის ხალხების ზოგიერთი ენის შესწავლაც. განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოვეკიდოთ რესპუბლიკის სკოლებში რუსული ენის, როგორც ჩვენი მეორე მშობლიური ენის, შესწავლას. დღეს რუსული ენის უცოდინრად შეუძლებელია რომელიმე მეცნიერების ღრმად დაუფლება. უაღრესად მდიდარი, ხატოვანი, პლასტიკური რუსული ენა ადამიანს საშუალებას აძლევს დაეუფლოს მეცნიერებას ყველა დარგს. რუსული ენის სწავლების მხრივ ჩვენს სკოლებში დღემდე გვაქვს ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრისათვის საჭიროა გარკვეულ ღონისძიებათა გატარება. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას უთუოდ წარმოადგენს იმ გამოცდილების განზოგადება, რაც მოგვცა აგვისტოში ტაშკენტს ჩატარებულმა შუა აზიის რესპუბლიკების, აზერბაიჯანის სსრ და ყაზახეთის სსრ განათლების მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციამ ეროვნულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხებზე. ამ ფრიად მნიშვნელოვანი კონფერენციის მასალები მალე გამოქვეყნდება, და ჩვენი ამოცანაა მოვახდინოთ მათი პოპულარიზაცია პრაქტიკულად გამოყენების მიზნით.

მთელი ამ მუშაობის პარალელურად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მიზნად ისახავს მიმდინარე სასწავლო წლიდან გარკვეული ღონისძიებანი განახორციელოს იმისათვის, რომ მეტი დახმარება გაუწიოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სკოლების მუშაობას. აფხაზური და ოსური სკოლები რესპუბლიკის განათლების ორგანოებისაგან მეტ დახმარებას საჭიროებენ. ამ მხრივ საჭიროა მოგვარდეს მთელი რიგი საკითხები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სკოლების მუშაობაში აღმოვფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებანი და შევქმნათ ყველა პირობა მათი ნორმალური მუშაობისათვის.

ძალიან დიდი, ფრიად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე წელს მოსწავლეთა მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. ბევრი ჩვენი ახალგაზრდა, სკოლის მოსწავლე და სტუდენტი, რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აქტიურად მუშაობდა. რამდენიმე ათასი ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკიდან გაემგზავრა ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსავლის ასაღებად. ისინი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების — ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდების მხარდამხარ იბრძოდნენ იმისათვის, რომ უდანაკარგოდ აეღოთ უხვი მოსავალი, რომელიც ყამირი მიწების მშრომელებმა მოიყვანეს. საჭიროა ეს ტრადიცია განვითარდეს, ვინაიდან მას მნიშვნელობა აქვს არა მარტო სახელმწიფო დოვლათის გაძლიერების, არამედ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, მოსწავლეთა შეგნებულობისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეშიც.

საბჭოთა სკოლა მთელ მსოფლიოში მოწინავეა თავისი იდეური მისწრაფებითა და პრაქტიკული დანიშნულებით. საბჭოთა სკოლა მოსწავლე ახალგაზრდობას ზრდის ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით. მოსწავლე ახალგაზრდობაში ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის, ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობის აღზრდა განათლების დარგის მუშაკთა ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს. ამ მიზნით უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს მეგობრული ურთიერთობა მოძმე რესპუბლიკების სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებთან. ასეთივე დამოკიდებულება უნდა გაძლიერდეს მოძმე რესპუბლიკების ბავშვებს შორის. საჭიროა მოეწყოს მეგობრული შეხვედრები, მიწერ-მოწერა, ინტერნაციონალური საღამოები, სამეცნიერო კონფერენციები. უთუოდ ძალიან დიდი ნაყოფი გამოიღო თბილისის 77-ე სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მეგობრულმა ურთიერთობამ მოსკოვის 204-ე სკოლასთან, რაც გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციის ინიციატივით დაიწყო. თბილისის 77-ე სკოლის ბავშვთა ჯგუფი და რამდენიმე მასწავლებელი გაემგზავრა მოსკოვში. იქ ისინი გაეცნენ 204-ე სკოლის მუშაობას, ბევრი რამ კარგი შეიძინეს და გადმოიტანეს თავიანთ სკოლაში. თბილისელების მოწვევით მოსკოვის 204-ე სკოლის მოსწავლეთა ჯგუფმა, რამდენიმე მასწავლებლის თანხლებით, წელს ზაფხული გაატარა საქართველოში, ქობულეთის პლაჟზე. მათ მიერ გამოთქმული გრძნობები ძალიან მკაფიოდ მეტყველებს იმ მეგობრობისა და ურთიერთობის შესახებ, რაც ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხებს შორის სუფევს და დღეგრძელობს. ეს ტრადიციად უნდა იქცეს, რათა ასეთი მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს მოძმე რესპუბლიკების სხვა სკოლებთან და ბავშვებთან. ამისათვის არაფერი არ უნდა დავიშუროთ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა წარმოადგენს ძირითად სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებას. აღზრდა კი შეუძლებელია, თუ არ არის მტკიცე წესრიგი და შეგნებული დისციპლინა. ამიტომ საჭიროა ყველა სკოლა, როგორც მატერიალური ბაზაც უნდა ჰქონდეს მას, სისუფთავის, წესრიგის, სიფაქიზის, დისციპლინის განსახიერება იყოს. ამ მხრივ თბილისის 88-ე სკოლის კოლექტივს ფრიად თვალსაჩინო წარმატებები აქვს და მისი გამოცდილება რესპუბლიკის ყველა სკოლამ უნდა გადაიღოს.

რა არის ამ სკოლაში კარგი?

სანიმუშო სისუფთავე, გონივრული წესრიგი, მასწავლებელთა და მოსწავლეთა არა ფორმალური, არამედ, ნამდვილი მორიგეობა, არაჩვეულებრივი სიფაქიზე ყველგან და ყველაფერში. ბუნებრივია, ამ სკოლაში აკადემიური წარმატებაც მაღალია.

იმისათვის, რომ ვისწავლოთ კარგად, გამოვირჩეოდეთ დისციპლინით, ავიმაღლოთ შეგნებულობა, ვიყოთ სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, საჭიროა ვიმუშაოთ დაუღალავად, მთელი გატაცებით. მთელი არსებით. მაშინ შედეგიც რეალური იქნება, გავამართლებთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნდობას და წარმატებით შევასრულებთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, განათლების ორგანოების, მათი მუშაკების, მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე დასახულ ყველა ამოცანას.

**დღეს თბილისის კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, იხანი (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ბედნიერებასთან შეხვედრა, ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, ოფიცერთა სახლი, კომუნარების ბაღი — თოლიები კვდებიან ნავსადგურში, სპარტაკი, იხანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი — პატიოსნებისათვის, თბილისი, კოლხიდა (საზამთრო), მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი — ჯადოსნური მახვილი, კომკავშირელი, კოლხიდა (საზაფხულო), ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ქუჩის სერენადა, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — გაცრუებული ოცნებები, დიდუბე — შეუპოვარი გოგონა (საზამთრო), მოუსვენარი გაზაფხული (საზაფხულო).

**თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ დაუსწრებელ ეკონომიურ ფაკულტეტზე მეცადინეობა დაიწყება ამა წლის 15 სექტემბერს.

სტუდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 1956 წლის 10 სექტემბრიდან.

დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებმა თან უნდა იქონიონ პასპორტი, ჩათვლის წიგნაკი, ცნობა სამუშაო ადგილიდან (ცნობაში ნაჩვენები უნდა იყოს, რა თანამდებობაზეა და რა დროიდან მუშაობს).

სტუდენტთა რეგისტრაცია და სხვადასხვა ახსნა-განმარტების მიცემა იწარმოებს დაუსწრებელი ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატში. მისამართი: ქ. თბილისი, ენგელსის, 44, II სართული.

**გორის ბამბეულის კომბინატის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1956-57 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე: მეფთილეები, მრთველები და სხვ. სკოლაში მიიღებიან მდედრობითი სქესის მოსწავლეები 16-დან 20 წლამდე ასაკისა, სულ მცირე 7 კლასის განათლებით. სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით. ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას: ქ. გორი, ბამბეულის კომბინატის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის კანცელარია.

განცხადებები მიიღება 1 ოქტომბრამდე.

მოქალაქე ვასილ ვასილის-ძე კანდელაკმა, მცხოვრებმა მახარაძის ქ. № 10, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე თინათინ სიმონის ასულ შუბლაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე აკაკი აბესალომის-ძე მაქარაშვილმა, მცხოვრებმა მელიქიშვილის ქ. № 15, აღძრა საქმე პეტრიაშვილის ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე აგრაფინა სერგოს ასულ გაგოშიძემაქარაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები კალინკა, გრიგოლ, ძმა ნუგზარ ნათესავებით იუწყებიან **ჯუმბერ გრიგოლის-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IX, ქ. ზესტაფონში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 155.

მეუღლე ნადია, შვილები გურამ, ნაზი, რძალი ნათელა და შვილიშვილი იუწყებიან **პეტრე იოთამის-ძე ინწკირველის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-IX, 3 ს. სოფელ ბახვში (მახარაძის რ.).

უე 03084

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.